# ქვეყანა, რომელიც არ უფრთხილდება საკუთარ ფესვებს, ვერასდროს შექმნის ღირსეულ მომავალს!



იხ. 2 გვ.

– თბილისში ერეკლე მეორის ძეგლი გაიხსნა! –


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№131 (9962) 2025 წლის 26 სექტემბერი, პარასკევი


## ვაი, თქვენს პატრონს!



იხ. 6 გვ.

ბრიყვი ხაბე, მელობიე ნანულა, „მევენახე“ ია, თინა „ტაივანჩიკი“, ბანი პაატა, გუბაზას ბურვაკი და ხაბეს კლონი ანი წითლიძე... იფ! იფ! იფ!

## რადიკალების გეგმა — ნებისმიერი დაწესებულების პიკეტირება-ბლოკირება!!!

ირაკლი კობახიძე:



5

ყველა ნაბიჯი, მათ შორის, საკადრო ცვლილებები, რეფორმები, ემსახურება იმას, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად წავიწიოთ წინ ყველა რეიტინგსა და ინდექსში



5

## «დაბრუნება»

ფელიქს ვარლამიშვილის გამოფენა ქართული სახვითი ხელოვნების გალერეაში

ზაზა შათირიშვილი:

## კონკრეტული ქვეყნის ელჩები დღეს კიდევ უფრო უტიფრად, „დიფ სთეითის“ დავალებებით ებრძვიან საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებას...

იხ. 3 გვ.




## „დიფ სთეითის“ მიერ დაპყრობილი საქართველო!

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



# ქვეყანა, რომელიც არ უფრთხილდება საკუთარ ფესვებს, ვერასდროს შექმნის ღირსეულ მომავალს! თბილისში ერეკლე მეორის ძეგლი გაიხსნა!

**მთავრობის მეთაურმა ერეკლე მეორის ძეგლი თბილისის მერ კახა კალაძესთან ერთად 24 სექტემბერს გახსნა.**

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, ერეკლე მეორე იყო პატრიოტიზმისა და სამშობლოს სიყვარულის სიმბოლო და საქართველოს ამ გამორჩეული მეფისთვის სათანადო პატივის მიგება ხელისუფლების ვალია.

**„სწორედ ერეკლე მეორის დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენს ქვეყანას შენარჩუნებული აქვს რელიგიური და ეროვნული იდენტობა. სწორედ ერეკლე მეორის სიბრძნემ მოგვცა ჩვენ ამის შესაძლებლობა. ის არის პატრიოტიზმის, პრაგმატიზმის, სამშობლოს სიყვარულის ნამდვილი სიმბოლო და მან მოგვცა მაგალითი, რომლითაც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვიხელმძღვანელოთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი ვალი და პასუხისმგებლობა იყო სათანადო პატივის მიგება ჩვენს დედაქალაქში ერეკლე მეორისთვის, ჩვენი გამორჩეულად საყვარელი მეფისთვის და ამ ძეგლის გახსნა ამ პატივისცემის განსაკუთრებული გამოხატულებაა“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**ირაკლი კობახიძემ** თბილისის მცხოვრებლებს განახლებული სკვერის გახსნა მიულოცა. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ კიდევ ერთი ახალი რეკრეაციული სივრცე დედაქალაქზე ზრუნვის გამოხატულებაა და თბილისის მერს **კახა კალაძეს** მადლობა გადაუხადა. ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს თბილისის მერმა **კახა კალაძემ,** პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** და კულტურის მინისტრმა **თინათინ რუხაძემ.**

# კახეთში უკვე გადამუშავებულია 120 ტონაზე მეტი ყურძენი

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარესთან შალვა პაპუაშვილთან ერთად, რთველის საკოორდინაციო შტაბში იმყოფებოდა.**

რთველის მიმდინარეობის შესახებ მთავრობის მეთაურს ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **დავით სონღულაშვილმა** მიაწოდა. აღინიშნა, რომ რთველი ორგანიზებულად მიმდინარეობს და ყურძნის ჩაბარების პროცესი შეუფერხებლად ხორციელდება.

კახეთის რეგიონში ამ დროისთვის გადამუშავებულია 110 ათასი ტონა ყურძენი, გასული დღე-ღამის განმავლობაში კი მიმდინარე წლის რთველის სეზონზე რეკორდული რაოდენობის – 14 ათას ტონამდე ყურძენი გადამუშავდა. ღვინის საწარმოებს ყურძენი 9000-მდე მევენახემ ჩააბარა. გადამუშავებული ყურძნიდან 50 ათას ტონამდე საფერავი, 52 ათას ტონამდე რქაწითელი, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.



საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს ჭარბ ყურძენს სახელმწიფო საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ ხარისხის მიხედვით, დიფერენცირებულ ფასად იბარებს. ღვინის კერძო კომპანიებზე სუბსიდია აღარ გაიცემა. პრემიერ-მინისტრთან ერთად, რთველის საკოორდინაციო შტაბში აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

# მსოფლიოში ცნობილი ბრენდი „ნაპოლეონი“ საქართველოში ჩამოისხმება!

**„მეღვინეობა კაჭრეთის“ ღვინისა და კონიაკის ქარხანაში 24 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, მთავრობისა და პარლამენტის წევრებთან ერთად იმყოფებოდა.**

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ქართული და ფრანგული კომპანიების პარტნიორობა საქართველოს ბიზნესგარემოსა და სახელმწიფო სტრუქტურებისადმი უცხოელი ინვესტორების ნდობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

**„ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მეღვინეობა-მევენახეობის ტრადიციებით. ვამაყობთ იმით, რომ საქართველო არის მეღვინეობის ისტორიული, ტრადიციული კერა და საფრანგეთი არის კონიაკის სამშობლო. ვფიქრობ, ეს საინტერესო სინთეზი მოგვცემს საუკეთესო ხარისხის პროდუქტს საქართველოში. ჩემთვის ეს თანამშრომლობა არის მორიგი დას-**



**ტური იმისა, რომ უცხოელ ინვესტორებსა და კომპანიებს აქვთ ნდობა საქართველოში ბიზნესგარემოს, ჩვენი კანონმდებლობისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. საქართველოს მთავრობა მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ასეთი ტიპის თანამშრომლობას უცხოურ კომპანიებთან“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ღონისძიების სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა, Tessendier & Fils Distillery-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ჟერომ ტესენდიემ და „მეღვინეობა კაჭრეთის“ დირექტორმა ნათია კარიჭაშვილმა. პრემიერ-მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ, მთავრობის, პარლამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, „მეღვინეობა კაჭრეთი“ დაათვალიერეს.

# გურჯაანში კულინარიული კოლეჯი შენდება

**200 სტუდენტზე გათვლილი პროფესიული კოლეჯი 21 600 კვადრატულ მეტრ ფართობზე განთავსდება. უახლესი სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა თეორიული სწავლების აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, სარესტორნო, სამზარეულო, სამაცივრე და სასაწყობო სივრცეები. კოლეჯი უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით აღიჭურვება.**

კომპლექსში ასევე იფუნქციონირებს 60 სტუდენტზე გათვლილი კამპუსი, სპორტული დარბაზი და რეკრეაციული სივრცე. შენობა სრულად იქნება ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის. პროექტი ბასკეთის კულინარიის სკოლასთან პარტნიორობით ხორციელდება და მისი ღირებულება 17 მილიონ ლარამდეა.

# შენდება და ლამაზდება კახეთი

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან ერთად, ალავერდის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.**

მთავრობის მეთაურს აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა უმასპინძლა. პრემიერი სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე და ჩატარებულ სამუშაოებს გაეცნო.



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ალავერდის სამონასტრო კომპლექსში ამ დროისთვის საეპისკოპოსო სასახლის სატრაპეზოს შიდა სივრცისა და ფეიქარ-ხანის სასახლის რეაბილიტაციას ახორციელებს. რეაბილიტაციის ფარგლებში ტაძრის გუმბათზე აღიმართა დიდი თითბრის ჯვარი, შესრულდა წმინდა გიორგის ტაძრის გუმბათის გადახურვის სამუშაოები.

აღდგა საეპისკოპოსო სასახლისა და ტაძრის დასავლეთ მინაშენის სახურავი. ასევე სრულად განახლდა სიძველეთა საცავის სახურავი. პრემიერ-მინისტრთან ერთად, ალავერდის სამონასტრო კომპლექსში აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ალავერდის შემდეგ სტუმრები თელავს ესტუმრნენ. მათ თელავის N1 ისტორიული სკოლა დაათვალიერეს და რეაბილიტაციის პროექტს გაეცნნენ.

როგორც ინფრასტრუქტურის მინისტრმა აღნიშნა, რეაბილიტაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სკოლის ისტორიული ფასადის მაქსიმალურ დაცვას და განახლებას. რეაბილიტაციას ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს.

პრემიერ-მინისტრი ასევე გაეცნო თელავში მიმდინარე ურბანული განახლების პროექტს, რომელიც ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და რეკრეაციული სივრცეების მოწყობას გულისხმობს. რეაბილიტაციის შედეგად, ქუჩებს ისტორიული იერსახე დაუბრუნდება.



# ყველა ნაბიჯი, მათ შორის, საკადრო ცვლილებები, რეფორმები, ემსახურება იმას, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად წავიწიოთ წინ ყველა რეიტინგსა და ინდექსში

**– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ევროკომისიის ადამიანური კაპიტალის ინდექსთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა.**

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო უსწრებს ყველა კანდიდატ ქვეყანას და უსწრებს ევროკავშირის 7-8 ქვეყანას ყველა პარამეტრით.

**„ჩვენ ვუსწრებთ ყველა კანდიდატ ქვეყანას ყველა პარამეტრით, მათ შორის, ეკონომიკური ადამიანური რესურსებით, დემოკრატიით, ყველა მიმართულებით. ვუსწრებთ ევროკავშირის 7-8 ქვეყანას ყველა პარამეტრით. თუმცა, ჩვენ ამაზე არ უნდა გავჩერდეთ ჩვენი მიზანი უნდა იყოს ვიწრო წრეში, სამეულში, ხუთეულში ადგილის დაკავება ყველა მიმართულებით. ყველა ის ნაბიჯი, მათ შორის, საკადრო ცვლილებები, რეფორმები, რაც ხორციელდება, ემსახურება იმას, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად წავიწიოთ წინ ყველა რეიტინგსა და ინდექსში“,** – განაცხადა პრემიერმა.



ზაზა შათირიშვილი:

# კონკრეტული ქვეყნის ელჩები დღეს კიდევ უფრო უტიფრად, „დიფ სთეითის“ დავალებებით ებრძვიან საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ხოლო რადიკალურ ოპოზიციას, ადგილზე მოქმედ აგენტურას მაქსიმალურად ასაზრდოებენ



# DEEP STATE

# „დიფ სთეითის“ მიერ დაპყრობილი საქართველო!

**კონკრეტული ქვეყნის ელჩები დღეს კიდევ უფრო უტიფრად, „დიფ სთეითის“ დავალებებით ებრძვიან საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ხოლო რადიკალურ ოპოზიციას, ადგილზე მოქმედ აგენტურას მაქსიმალურად ასაზრდოებენ,** – ამის შესახებ ფილოსოფოსი **ზაზა შათირიშვილი** აცხადებს.

გარკვეული პერიოდის წინ, გამოვაქვეყნე ვრცელი წერილი საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების ელჩებსა და საელჩოებზე, რომელშიც საუბარი მქონდა უცხო ქვეყნის თანამშრომლებისთვის რაოდენობრივი ლიმიტის დაწესებაზე, რამეთუ საელჩოები, ნაცვლად დიპლომატიური სამსახურისა, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების, შესაბამისად „დიფ სთეითის“ მცირე ფილიალებად არის ქცეული.

სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში მდგომარეობა არათუ დადებითისკენ შეიცვალა, პირიქით, დღეს კიდევ უფრო ღიად და უტიფრად, კონკრეტული ქვეყნის ელჩები საქართველოში „დიფ სთეითის“ დავალებებით მოქმედებენ, დაუფარავად ებრძვიან საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ხოლო რადიკალურ ოპოზიციას, ადგილზე მოქმედ აგენტურას მაქსიმალურად ასაზრდოებენ.

მხოლოდ გასული დღეების განმავლობაში: ჰოლანდიის ელჩად წოდებული **მელინე არაკელიანი** ფარულად შეხვდა ელენე ხოშტარიას საკუთარ საცხოვრებელ სახლში, თანაც მას შემდეგ, რაც ხოშტარიამ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა.

გერმანიის ელჩად წოდებულმა **პეტერ ფიშერმა** ჯერ შეურაცხმყოფელი წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც განცხადებაში მხოლოდ გვარით მოიხსენია (რაც დიპლომატიური ეთიკის უხეში დარღვევაა), ხოლო შემდეგ საკუთარ მინისტრთან ერთად დემოკრატია და ადამიანის უფლებები დაგვიწუნა.

ბრიტანეთის საელჩოში ასევე ფარულად იმყოფებოდნენ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები, გიგა ბოკერია და გია ბარამიძე, რაც შემთხვევით გახდა ცნობილი საზოგადოებისათვის. თუმცა, საელჩოდან გამოსულმა ბარამიძემ არ დამალა, რომ ბრიტანელებს „დიფ სთეითის“ ფილიალში, იგივე საელჩოს შენობაში 4 ოქტომბერს დაგეგმილ საპროტესტო აქციაზე ესაუბრა

ევროკავშირის ელჩად წოდებულმა **პაველ ჰერჩინსკიმ** უკვე მერამდენედ, დააფინანსა და იპარტნიორა ადამიანთან, რომელიც ამართლებს პოლიტიკურ მკვლელობას, ცინიკურად საუბრობს ადამიანის გარდაცვალებაზე და წარმოადგენს ენჯეოს, რომელიც გამუდმებით თესავს სიძულვილს, ხოლო ხალხს ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებს...

აღარ ჩამოვთვლი სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს, რადგან მათი მხრიდან იმდენად გათავხედებულ ქმედებებს ვხედავთ საქართველოს წინააღმდეგ, რომ ელჩების დონეს დიდი ხანია გასცდნენ და პირდაპირ საგარეო საქმეთა მინისტრები, ზოგ შემთხვევაში კი ქვეყნის პირველი პირები არიან ჩართული ჩვენი ქვეყნისა და ხელისუფლების დისკრედიტაციის კამპანიაში.

ამ დიპლომატიური თავხედობის პარალელურად, ქართული საზოგადოება ხედავს, რომ აბსოლუტურად ჯანსაღად მოქმედებენ სხვა ქვეყნის საელჩოები და ელჩები.

არავის სმენია, ქვეყნის შიდა საქმეებსა და პოლიტიკაში ჩარეულიყოს უნგრეთის, სლოვაკეთის, ჩინეთის და კიდევ რამდენიმე ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგემლობა. ისინი განუხრევლად იცავენ ვენის კონვენციას და ქვეყანათა შორის პარტნიორულ ურთიერთობებს.



პეტერ ფიშერი



მელინე არაკელიანი



პაველ ჰერჩინსკი

**ეს კონტრასტი კიდევ ერთი მკაფიო სამტკიცია იმისა, რომ ფიშერი, არაქელიანი, ჰერჩინსკი, უორდი და კიდევ რამდენიმე, ეგრეთ წოდებული დიპლომატი პირდაპირ „დიფ-სთეითის“ აგენტები არიან, მათი ანტიქართული ქმედება ერთი-ერთში ემთხვევა პასპორტით ქართველი ოპოზიციის წარმომადგენელთა ქმედებებს, რადგან დავალებებს ერთი ცენტრიდან, „დიფ სთეითისგან“ იღებენ.**

ხსენებული ელჩები და საელჩოები, იგივე „დიფ სთეითის“ მცირე ფილიალები მიზანმიმართულად ახალისებენ ძალადობას, რადიკალიზმსა და დაპირისპირებას, აღვივებენ შუღლს საზოგადოებაში და პარალელურად, ადგილზე ამაგრებენ რადიკალურ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომ როგორმე ქვეყანაში სიტუაცია არიონ და ხელისუფლებაში მათი აგენტურა დასვან – რაც არის ამ ეტაპზე „დიფ სთეითის“ მთავარი ამოცანა საქართველოში.

საქართველოში აკრედიტებული ელჩის ქმედებები მკაფიო გამოხატულებაა იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნები და მათი მთავრობები, უნგრეთისა და სლოვაკეთის გამოკლებით, პირდაპირ იმართებიან „დიფ სთეითის“ მიერ, ხოლო ამ ორ ქვეყანას თავადაც გამალებით ებრძვიან, რათა როგორმე აგენტურის მმართველობა დააფუძნონ. ამიტომ, ამ ელჩების გამოცვლას, მათ გაძევებას არანაირი აზრი არ აქვს – როდესაც მისი დამნიშნავი მთავრობა, ქვეყანა რომელსაც ისინი წარმოადგენენ – მთლიანად „დიფ სთეითის“ მიერ მართულია. ერთ ელჩს მეორე შეცვლის, ან ისეთივე აგენტი, ან კიდევ უფრო უარესი.

„დიფ სთეითის“ მიერ მართული ბიუროკრატია ბრიუსელში იმედია მალე ჩაბარდება წარსულს და ამიტომ, ქვეყნებთან ურთიერთობა არ უნდა გავუფუჭოთ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ დიახ – ელჩები თავხედები არიან, მაგრამ კიდევ უფრო თავხედები არიან მათი პატრონები, ხოლო ელჩები ანარეკლია მათი მთავრობების. ისინი კარგად აჩვენებენ, თუ რა მძიმე მდგომარეობაში არიან მათი ქვეყნები და ამ მძიმე, აგენტურული მოცემულობის პირდაპირი გამოხატულებები არიან, საბოლოოდ კი ყველა ერთად აჩვენებს, თუ რა მძიმე დღეშია ევროპული ბიუროკრატია.

**საქართველოს ხელისუფლება გონივრულად იქცევა, რამეთუ გაცნობიერებული აქვს, რომ ელჩის ქმედება პირდაპირი ანარეკლია მისი ხელისუფლების, მისი მთავრობის და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გონივრულია გადაწყვეტილება, რომ არ ხდება მათთან კონფრონტაცია და რადიკალური ზომების მიღება, რაც როგორც აღვნიშნე, არანაირ შედეგს არ მოიტანს გარდა იმისა, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობას გააფუჭებს. საქართველოს ხელისუფლებამ ცალმხრივად უნდა გააგრძელოს მეგობრობა ქვეყნებთან. მკაფიოდ უნდა გავმიჯნოთ„დიფ სთეითის“ მიერ მართული კონკრეტული მთავრობები და ქვეყანა, ამ ქვეყნის არაჩვეულებრივი ხალხი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაფუჭოთ ქვეყანათაშორისი მრავალწლიანი მეგობრობა.**

მიუხედავად იმისა, რომ ვხედავთ, როგორ უსამართლოდ გვექცევიან ბალტიისპირეთის მთავრობები, სკანდინავიის მთავრობები, როგორ უსამართლოდ იქცევა ევროპარლამენტი და მთლიანად ევროპული ბიუროკრატია, უნდა დავრჩეთ ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში. უფრო მეტიც, ჩვენ უნდა ვიყოთ მაგალითი „დიფ სთეითის“ მიერ „დაპყრობილი“ ქვეყნების ხალხებისთვის, თუ როგორ იბრძოლონ საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტისთვის და რადგან ევროპაში საზოგადოების გამოფხიზლების მცირე, იმედისმომცემი ნიშნები ივეთება, როდესაც ხალხი შეძლებს და გაათავისუფლებს საკუთარ ქვეყნებს „დიფ სთეითის“ მარწუხებისგან, მათ გოდიში ექნებათ მოსახდელი ქართველი ხალხის წინაშე, ხოლო ჩვენ ბოლომდე პირნათელი ვიქნებით“...

**25 სექტემბერი, 2025**

# საფოსტო მარკა ეროვნული ვალუტის იუბილეს მიეძღვნა

**საქართველოს ეროვნული ვალუტის ლარის მიმოქცევაში გაშვებიდან 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებულმა მარკების კომისიამ, ეროვნული ბანკის ინიციატივით, საიუბილეო მარკა გამოუშვა, რომელიც საქართველოს ფოსტამ დაამზადა.**




ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საიუბილეო მარკაზე ლარის ბანკნოტების ნიშნებია დატანილი და ეროვნული ვალუტის 30-წლიანი განვითარებას ასახავს.

**„საფოსტო მარკას არ აქვს მხოლოდ ფილატელისტური დატვირთვა. საფოსტო მარკებზე აისახება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები და მიღწევები. ვფიქრობ, ლარის მიმოქცევაში გაშვება, როგორც ეროვნული ვალუტის, მნიშვნელოვანი თარიღია საქართველოს ისტორიაში. ეროვნული ვალუტა, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი, დღეიდან დატანილია საფოსტო მარკაზეც და მას მთელი მსოფლიო ნახავს და შეაფასებს“**, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე **გურამ გურამიშვილმა** .



ღონისძიება ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში გაიმართა, სადაც 1920-21 წლებში ქვეყნის პირველი ცენტრალური ბანკი – საქართველოს სახელმწიფო ბანკი ფუნქციონირებდა.

## სარკინიგზო ტრანსპორტის უსაფრთხოების ნორმები

**საქართველოში სარკინიგზო საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის მფლობელების უსაფრთხოების ავტორიზაციის პროცესი დასკვნით ეტაპზეა.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის **გურამ გურამიშვილის** შეფასებით, სარკინიგზო ტრანსპორტის მიმდინარე რეფორმა რეგიონში უპრეცედენტოა და მიზნად ისახავს ეროვნული კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზებას, მათ შორის, უსაფრთხოების ნორმებთან მიმართებაში.



სარკინიგზო ტრანსპორტის რეფორმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში მიმდინარეობს. რეფორმის ფარგლებში, 2025 წლიდან სარკინიგზო ინფრასტრუქტურასთან დაშვებისთვის უსაფრთხოების სერტიფიკატის ფლობის ვალდებულება, ხოლო ინფრასტრუქტურის მენეჯერებს სარკინიგზო უსაფრთხოების ავტორიზაციის ფლობის ვალდებულება წარმოეშვათ.

უსაფრთხოების ავტორიზაციას/სერტიფიკატს სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო გასცემს. განცხადებების განხილვის ეტაპზე, სააგენტო აფასებს, რამდენად შეუძლია სარკინიგზო საწარმოს სარკინიგზო უსაფრთხოებისთვის აუცილებელი მოთხოვნების შესრულება და მისი უწყვეტი დაცვა ავტორიზაციის ფლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ყველა ასეთ კომპანიას წარმოეშვა ვალდებულება, მოემზადებინათ და თავიანთ ორგანიზაციაში დაენერგათ სარკინიგზო უსაფრთხოების მართვის სისტემა, რაც კარგად აპრობირებული საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკაა.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, უსაფრთხოების სერტიფიცირების/ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ სააგენტო სარკინიგზო საწარმოს/ინფრასტრუქტურის მენეჯერის, მათ შორის მისასვლელი ლიანდაგის მფლობელის ობიექტებზე გეგმურ და არაგეგმურ ზედამხედველობას განახორციელებს. ახალი სისტემის ამოქმედება გააუმჯობესებს სარკინიგზო უსაფრთოხების დონეს და მნიშვნელოვნად აამაღლებს მის კონკურენტუნარიანობას.

## სპორტის მხარდაჭერა ნიშნავს ძლიერი და ჯანმრთელი თაობის აღზრდას

**აჭარის მთავრობის** თავმჯდომარე **სულხან თამაზაშვილი** ბათუმში სპორტული ფორუმის გახსნის ღონისძიებას დაესწრო, რომელშიც წარმატებული სპორტსმენები და სპორტის სფეროს 300-მდე წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას.



**„თქვენ ხართ ადამიანები, რომლებმაც ბევრჯერ ასახელეთ ჩვენი ქვეყანა. თქვენ ხართ მაგალითი და მოტივაცია მომავალი თაობისთვის. თქვენი წარმატებული შედეგებით ყველას**



**დაუმტკიცეთ, რომ მონდომებითა და თავდაუზოგავი შრომით შეუძლებელი არაფერია. სპორტის მხარდაჭერა ნიშნავს ძლიერი და ჯანმრთელი თაობის აღზრდას. აღნიშნული ფორუმიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.**

**ამაყი ვარ, რომ აჭარიდან ბევრი წარმატებული სპორტსმენი გვყავს. განსაკუთრებული მადლობა თქვენ, რომ რეგიონსა და ქვეყანას ასახელებთ. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალისხმევით მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაში,“** – განაცხადა **სულხან თამაზაშვილმა.**

შეხვედრის ფარგლებში გაიმართა პანელური შეხვედრები და დისკუსიები სპორტის სფეროში მიმდინარე პროცესებსა და აქტუალურ საკითხებზე. ფორუმი „სპორტული წარმატების სტრატეგია“ აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა.

## გორი საგუნდო მუსიკის ფესტივალს მასპინძლობს



**გორის** მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი და „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატი **კონსტანტინე ბუზალაძე**, საგუნდო მუსიკის ფესტივალის გახსნას დაესწრო, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

**„გორში საგუნდო მუსიკის ტრადიციას დიდი ისტორია აქვს. ეს ტრადიცია კი დიდწილად უკავშირდება ალექსანდრე კაჭარავას და ჩვენს დიდ მაესტროს, შალვა მოსიძეს, რომლებმაც არაერთი ნიჭიერი მუსიკოსი აღზარდა და გორი აქცია ქართული საგუნდო მუსიკის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად.**

**წლევანდელი საგუნდო მუსიკის ფესტივალი კი ყველასათვის უსაყვარლესი გორელი კომპოზიტორის – ჯემალ ბეგლარიშვილის 85 წლის იუბილეს ეძღვნება და გორში ახალ ქუჩას მისი სახელი დაერქვა.**

**მინდა, დიდი მადლიერება გამოვხატო ჩვენი მასწავლებლების, ქოროებისა და თითოეული იმ ადამიანის წინაშე, ვინც ამ კულტურას დღემდე აგრძელებს.**

**დარწმუნებული ვარ, რომ ამ დღეების განმავლობაში, გორი კულტურული ცხოვრების ეპიცენტრში მოექცევა და დაუვიწყარ საღამოებს ვიხილავთ,“** – აღნიშნა **კონსტანტინე ბუზალაძემ.**

## ქუთაისში სპორტული სკოლის რეაბილიტაცია დასრულდა

**სკოლა 450 -მდე სპორტსმენზეა გათვლილი. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ 2 694 751 ლარით დაფინანსდა.**

განახლებული სპორტული სკოლა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ერემეშვილმა, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ზალკალიანმა, საქართველოს პარლამენტის წევრებმა ზაზა ლომინაძემ, ვიქტორ სანიკიძემ და გივი ჭიჭინაძემ დაათვალიერეს. პროექტის მიხედვით სრულად განახლდა კალათბურთის, მაგიდის ტენისისა და ჩოგბურთის დარბაზები, ასევე, მოწესრიგდა შენობის ფასადი, სახურავი, კეთილმოეწყო ეზო.

## პატივი მიაგეს დამსახურებულ პედაგოგებს

**მარნეულში დამსახურებული პედაგოგების პატივსაცემად ღონისძიება გაიმართა. მუნიციპალიტეტიდან 7 მასწავლებელია წარდგენილი მასწავლებლის ეროვნული პრემიაზე, რომლის დასკვნითი ღონისძიება 27 ოქტომბერს გაიმართება.**



ღონისძიებაზე 66 წარჩინებულ მოსწავლეს კი განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ადგილობრივი თვიმმართველობის ხელმძღვანელებთან ერთად, **ოქროს** და **ვერცხლის მედლები** გადასცა.

## პატივგება კასპელ გმირ პოლკოვნიკს

**კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკში დღეს ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის პირველი მეთაურის, კასპის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის გარდაცვალების დღე აღნიშნეს.**

პოლკოვნიკის ბიუსტთან და საფლავთან, რომელიც 1993 წლის 25 სექტემბერს სოხუმის დაცვისათვის აფხაზეთში გმირულად დაიღუპა, თანამებრძოლები, ყოფილი გვარდიელები, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო და რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ და მის ხსოვნას პატივი მიაგეს.

ტარიელ შარიფაშვილი ომის დაწყებიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე, კასპის ბატალიონთან ერთად, ცხელ წერტილებში იბრძოდა. სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის დაღუპული გმირი, გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ ტარიელ შარიფაშვილის მეუღლე ლია გოგიაშვილი და ქალიშვილი თამარ შარიფაშვილი შვილთან ერთად.



გზად – მომავლისკენ!

საქართველოს რესპუბლიკა

# თბილისის მერი: ვერ დაგვღლით, რადგან ჩვენ გვაერთიანებს ამ ქალაქის სიყვარული!

**პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მეროგის კანდიდატმა, დედაქალაქის მოქმედმა მერმა კახა კალაძემ, ვიცე-მერ გიორგი ტყემალაძესთან ერთად, საზოგადოებას ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების პოლიტიკის მიმართულებით დაგეგმილი პროექტები გუშინ გააცნო.**

ღონისძიებას პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე ესწრებოდნენ.

სიტყვით გამოსვლისას კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების პოლიტიკის ფარგლებში, დედაქალაქის მერიის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა გარკვეული შედეგები უკვე გამოიღო, თუმცა ამ მიმართულებით გამოწვევები კვლავ რჩება.

**„საზოგადოებისთვის სამომავლო გეგმების გაცნობას ვასრულებთ მიმართულებით, რომელიც ვფიქრობ, არამხოლოდ ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა. ეს არის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების პოლიტიკა – მიმართულება, რომელიც ჩვენთვის უკვე მიღწეული გარკვეული შედეგიც არის და სამომავლო გამოწვევაც. მე აღარ დავიწყებ იმის ჩამოთვლას, თუ რა ნაბიჯები გადავდგით ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული მიმართულებით. ამ ყველაფერზე ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოები მეტყველებს – ქალაქში აღარ მოძრაობს ტრანსპორტი, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებდა, შემცირებულია მოლოდინის დრო, აღარ ხდება ქაოსური განაშენიანება, გვაქვს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომლითაც ვავითარებთ ჩვენს დედაქალაქს და ა.შ. თუმცა, ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიმართულებით არსებული პრობლემები ერთი ხელის მოსმით მოგვარდა“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**



## ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების პოლიტიკა

მისივე თქმით, ბოლო წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქალაქი ვითარდება და იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იზრდება მოთხოვნა გზების რეაბილიტაციაზე, ხიდების მშენებლობაზე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე და ა.შ.

**„რომ გადავხედოთ თუნდაც გასულ ოთხ წელს, დედაქალაქში ავტომობილების დღიური მაჩვენებელი მკვეთრად იმატებს. რამდენიმე დღის წინ, 19 სექტემბერს, დღე-ღამის განმავლობაში, თბილისში მოძრაობდა 841 000 ავტომობილი, 2022 წლის 19 სექტემბერს კი აღნიშნული მაჩვენებელი 586 000-ს აღწევდა. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ ქალაქი ვითარდება და მოსახლეობა იზრდება, რაც ავტომატურად ზრდის მოთხოვნას გზების რეაბილიტაციაზე, ხიდების მშენებლობაზე, ტრანსპორტის დამატებაზე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე და ა.შ.**

**არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ მეტი ავტომობილი ქალაქში ნიშნავს მეტ საცობს და გართულებულ გადაადგილებას, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეებისთვის. გაზრდილი მოთხოვნის მიუხედავად, ვერ დავუშვებთ, რომ თბილისი იყოს მხოლოდ ავტომობილების ქალაქი. თბილისი, თავისი ისტორიითა და უნიკალური ლანდშაფტური მდებარეობით, უნდა იყოს ყველასთვის თანაბრად მისაწვდომი – იქნება ეს კერძო ავტომობილის მგზავრი, თუ ფეხით მოსიარულე. ჩვენი ვალია, შევქმნათ ისეთი გარემო და ინფრასტრუქტურა, რომ მოქალაქემ თავად გააკეთოს არჩევანი – იაროს კერძო ავტომობილით თუ აირჩიოს გადაადგილების სხვა, ალტერნატიული საშუალება, მათ შორის, ეკომეგობრული ტრანსპორტი“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ მხარდაჭერისთვის ცენტრალურ ხელისუფლებასა და მის მეთაურს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მან მადლობა გადაუხადა ასევე, უცხოელ და ადგილობრივ ექსპერტებს იმისთვის, რომ ქალაქისთვის სასიკეთო პროექტების განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული. დედაქალაქის მერმა აქვე უპასუხა სკეპტიკოსებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის მიერ წამოწყებულ ყველა ინიციატივას ნეგატივით ეხმაურებიან და აღნიშნა, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ქალაქი იქნება უფრო მწვანე და მოწესრიგებული.

**„გპირდებით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი დედაქალაქი იყოს უფრო მწვანე, ჰყავდეს გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, შეიქმნას მეტი საფეხმავლო თუ ველობილიკი, წახალისდეს ეკომეგობრული ტრანსპორტი და გაუმჯობესდეს ქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა. ყველას მადლობას გიხდით, ვინც ზრუნავთ, უვლით და საკუთარი შვილივით ექცევით ჩვენს გარემოს. მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები ყველას მერი, განურჩევლად მათი პოლიტიკური თუ სოციალური შეხედულებებისა. მშვიდობა საქართველოს, მეტი სიკეთე თბილისს. გამარჯვებები და წარმატებები ჩვენს გუნდს და ამ ქალაქში მცხოვრებ თითოეულ ოჯახს“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

# მთავარი ამონარიდები თბილისის მთავრობის სხდომიდან

**● კახა კალაძე: 24 სექტემბერს ისნის რაიონში, ე.წ. სამგორის პარკში, თბილისის მერიისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, მეფე ერეკლე II-ის ღვაწლის უკვდავსაყოფად, ცნობილი მოქანდაკის მერაბ მერაბიშვილის ესკიზის მიხედვით შექმნილი მონუმენტი გაიხსნა.**

ნამუშევარი სივრცეს რეკრეაციის გარდა, კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობასაც ანიჭებს. მინდა, კულტურის სამინისტროს, პირადად მინისტრს, თინათინ რუხაძეს მხარდაჭერისა და ჩართულობისთვის მადლობა გადავუხადო.

ასევე, მადლობა მოქანდაკეებს, არქიტექტორს და ყველას, ვინც ჩართული იყო აღნიშნული პროექტის განხორციელებაში. ამასთან, თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა სრული რეაბილიტაცია ჩაუტარა ე.წ. სამგორის პარკს, რომელიც მძიმე მდგომარეობაში იყო. პროექტის ფარგლებში, დაირგო ხე-მცენარეები, მოეწყო სარწყავი და განათების სისტემა, საბავშო ატრაქციონები. საღამოს, 20:00 საათზე, ყველას გეპატიჟებით, ერთად დავათვალიეროთ ახლადმოწყობილი პარკი. აქვე გაიმართება ჯგუფ „ურსას“ კონცერტი.

* * *

**● უახლოეს მომავალში დაიწყება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება – სულხან-საბა ორბელიანისა და ინგოროყვას ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც გულისხმობს როგორც უშუალოდ ამ ქუჩების რეაბილიტაციას, ისე ტერიტორიაზე არსებული შენობების მოწესრიგებას.**

სამუშაოების წარმოებას უკვე ძალიან მალე დავიწყებთ. რამდენიმე დღის წინ გაიხსნა განახლებული მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, გუშინ კი საზოგადოებამ იხილა რეაბილიტირებული კიდევ ერთი ისტორიული შენობა, რომელიც წინამძღვრიშვილის ქუჩის N1-ში მდებარეობს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის პროექტების განხორციელება. რა თქმა უნდა, მომავალშიც გავაგრძელებთ ამ მიმართულების მხარდაჭერას.

* * *

**● თბილისის მეტროს პირველი ხაზი დაგრძელდება თითო სადგურით, ორივე მიმართულებით. როგორც „ახმეტელის თეატრის“, ისე „ვარკეთილის“ მეტროსადგურზე განხორციელდება ახალი პროექტი, რაც მოგვცემს შესაძლებლობას, რომ პირველ ხაზზე თითო სადგურით, ორივე მიმართულებით დავაგრძელოთ აღნიშნული მეტრო.**

კერძოდ, ვარკეთილის მიმართულებით, პერსპექტიული დაგრძელების ჯამური სიგრძე იქნება 1,2 კმ. ახალი მეტროსადგური დილის პიკის საათში მიიზიდავს 4 500 მგზავრს. მაგალითისთვის, „ჰუალინგიდან“ მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმართულებით დღიური მინიმალური მგზავრთნაკადია 66 000 ადამიანი, რომელთა ნაწილიც შეძლებს, გადანაწილდეს და გამოიყენოს ახალი სადგური. რაც შეეხება გლდანის მიმართულებას, პერსპექტიული ხაზი დაგრძელდება 1,1 კმ-ით. დილის პიკის საათში ახალი სადგური მიიზიდავს 5 500 მგზავრს. უკვე ჩატარებული კვლევების მონაცემებით, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარედ გადამსხდომ მგზავრთა რაოდენობა დილის პიკის საათში შემცირდება 4 460 მგზავრით, ხოლო ზოგადად, გლდანის რაიონიდან მგზავრთნაკადი 1 100-ით მოიმატებს.

* * *

**● მინდა მერის მოადგილის პოსტზე კახა აგულაძის კანდიდატურა წარვადგინოთ. ის 2023 წლის ოქტომბრიდან თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობდა. ის მედიცინის დოქტორია და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2022 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა.**

მანამდე მუშაობდა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალგაზრდობის სააგენტოს უფროსის მოადგილის პოზიციაზე, იქამდე კი თბილისის მერიაში ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას იკავებდა. დიდია მისი წვლილი დედაქალაქის საჯარო ბაგა-ბაღების განვითარების, განხორციელებული წარმატებული პროექტებისა თუ პროგრამების მიმართულებით. ამიტომ, ვფიქრობ, დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას წარმატებით გამოიყენებს აწ უკვე მერის მოადგილის პოსტზე. წარმატებებს ვუსურვებ კახას ამ ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

# ვაი, თქვენს პატრონს!



იციან, რომ 4 ოქტომბრის შემდეგ, კანონის ფარგლებში, მათი დანდობა არ იქნება არსად, ქვეყნის არცერთ კუთხეში! ამიტომაც ჩაუყენეს ამ პოლიტიკურად განწირულებს სათავეში უვიცნი, უწიგნურნი, გაუნათლებელნი და გაჯონჯოლიებულნი



# რადიკალების გეგმა — ნებისმიერი დაწესებულების პიკეტირება-ბლოკირება!!!

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ანი წითლიძემ რადიკალური ოპოზიციის გეგმა გაასაჯაროვა და არჩევნებამდე 11 დღით ადრე თქვა, რომ სახელმწიფო დაცვის სამსახური კი არა, სულ რომ უცხოპლანეტელები ჩამოიყვანოს 4 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილმა, ვერ შეძლებს, დაუპირისპირდეს ათასობით მოქალაქეს, რომელიც ქუჩაში იდგება. წითლიძის თქმით, საქართველოს მოქალაქეებს აქვთ კონსტიტუციით განსაზღვრული თავდაცვის უფლება და თავს დაიცავენ.

„საქართველოს მოქალაქეები 4 ოქტომბერს აპირებენ, მშვიდობიანად იდგნენ და დაასრულონ რეჟიმი, აქციაზე მოდიან საკუთარი შვილებით, ოჯახის წევრებით. ხელი თუ გადაუცდებათ, მაშინ ე.წ. ხელისუფლებამ და სპეცრაზმმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ კონსტიტუციით განსაზღვრული თავდაცვის უფლება და თავს დაიცავენ.

არ მივცემთ შესაძლებლობას, საქართველოს ერთი მოქალაქე მაინც დაჩაგროს რეჟიმმა. 4 000 გდდ-ს თანამშრომელი ვერ მოერევა, თუ ის გაბედავს, ხელი ასწიოს ათასობით საქართველოს მოქალაქეზე. არანაირი მოტივაცია არ აქვს, განსაკუთრებით ახლა, იმ რღვევის შემდეგ, რაც „ქართულ ოცნებაში“ ხდება, საქართველოს მოქალაქეები დაარბიოს“, — აცხადებს **ანი წითლიძე.**

ეს განცხადება ცხადჰყოფს, რომ რადიკალები პროცესების რადიკალიზაციისთვის ემზადებიან და ამისთვის ისინი იყენებენ მშვიდობიან მოსახლეობას. ამაზე მეტყველებს ასევე რადიკალური ოპოზიციის წევრის, მომღერალ **გოგა ხაჩიძის** განცხადებაც, რომ საქართველოში, 10 000 ორგანიზებულ, მიზანმიმართულ ადამიანს შეუძლია, ნებისმიერი დაწესებულების, თუ ინფრასტრუქტურის ფიზიკურად პიკეტირება/ბლოკირება.

„ელემენტარული მათემატიკა: საქართველოში 10 000 ორგანიზებულ, მიზანმიმართულ ადამიანს შეუძლია ნებისმიერი დაწესებულების თუ ინფრასტრუქტურის ფიზიკურად პიკეტირება-ბლოკირება — პარლამენტი, კანცელარია, საკრებულო, მერია, სამინისტრო, ცესკო, გზა, მაგისტრალი, რკინიგზის სადგური, აეროპორტი, პორტი, ტერმინალი და ა.შ. ნებისმიერის! 100 000 ადამიანი ნიშნავს 10 ასეთ ჯგუფს, 200 000 ადამიანი ნიშნავს 20 ასეთ ჯგუფს. თეორიულად ეგრეა. P.S. 9X6=54“, — წერს **გოგა ხაჩიძე.**

* * *

**რადიკალების პარალელურად, ემზადება ხელისუფლებაც.** ამიტომ, აფრთხილებენ რადიკალებს, რომ კანონსაწინააღმდეგო ყველა ქმედება იქნება აღკვეთილი. თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით, გაშიფრული და ძალიან მარტივი სქემაა — ცდილობენ, არეულობა მოაწყონ.

„ძალიან მარტივად აქვთ დალაგებული თემა — ქვეყანაში, წლების განმავლობაში, იხარჯებოდა თანხები იმისთვის, რომ შეექმნათ აგენტურული ქსელი. რისთვის სჭირდებოდათ ეს ქსელი? იმისთვის, რომ ქვეყანა აკონტროლონ, თავად იყვნენ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი. არა ქართველი ხალხი, არამედ თვითონ — გლობალური ომის პარტიის რამდენიმე წარმომადგენელი. წარმოგიდგენიათ? ეს არის მათი დამოკიდებულება. იმ აგენტურის საშუალებით, რომლის შესაქმნელადაც ძალიან დიდი თანხები დახარჯეს, ცდილობენ, არეულობა მოაწყონ, ხალხი ერთმანეთს დააპირისპირონ, ეცადონ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას და ა.შ. გაშიფრული და ძალიან მარტივი სქემაა“, — განაცხადა **კახა კალაძემ.**

## ბრიყვი ხაზე, მელობიე ნანულა, „მევენახე“ ია, თინა „ტაივანჩიკი“, ზანი პაატა, გუზაზას ბურვაკი და ხაზეს კლონი ანი წითლიძე... იფ! იფ! იფ!

დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი **ირაკლი ქადაგიშვილი** რადიკალებს აფრთხილებს, რომ ფრთხილად იყვნენ, კანონს ნუ გადააბიჯებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონი პასუხს გასცემს და ვეღარ უშველით მერე „ფეისბუქზე“ პოსტი და საზღვარგარეთიდან აღშფოთებული განცხადება. მისივე თქმით, რევოლუციის ვერანაირი სცენარი ვერ გათამაშდება და თუ ოპოზიციის წარმომადგენლებს ჰგონიათ, რომ პროვოკაციის მოწყობით რამე მიზანს მიაღწევენ, ძალიან ცდებიან.

„რამდენად ეთიკურია დღე და ღამე იმის ძახილი, რომ სახელმწიფოში გადატრიალებას და დამხობას მოვახდენთო?! ფრთხილად იყვნენ, კანონს ნუ გადააბიჯებენ, თორემ კანონი პასუხს გასცემს და ვეღარ უშველით მერე „ფეისბუქზე“ პოსტი და საზღვარგარეთიდან აღშფოთებული განცხადება! იმ საზღვარგარეთმაც უნდა გაიგოს, რომ მარტო ისინი არ არიან ერები და ქვეყნები, რომ საქართველოც ქვეყანა და ერია, აქაც კონსტიტუციაა, აქაც ხალხია და აქაც არჩევნებია! ამას ყველამ პატივი უნდა სცეს — შინ და გარეთ“, — განაცხადა **ირაკლი ქადაგიშვილმა.**

„ხალხის ძალის“ წევრი **ზურაბ მაჭარაშვილი** ამბობს, რომ ანა წითლიძის განცხადება ერთგვარი მტკიცებულებაა, რადგან ძალადობრივ აქციებს აპირებენ, რაც არ გამოუვათ. ოპოზიციას არანაირი მშვიდობიანი პროტესტი არ უნდა და მათი განცხადებებიც ამას ადასტურებს.

„ომის წინ, მოწინააღმდეგის რიცხვები რომ აინტერესებთ ხოლმე, ესენიც ასე რატომ ითვლიან სამართალდამცავების რაოდენობას? დაპირისპირებას აპირებენ? აბა, მშვიდობიანი პროტესტი იქნება და ძალადობრივი არ იქნებაო? რა მათი საქმეა, რამდენი თანამშრომელია? ხალხთან აპირისპირებენ? იმდენი ჭკუაც არ აქვთ, რომ ასეთი სულელური განცხადებები არ გააკეთონ. წარმოიდგინეთ, საფრანგეთში ან გერმანიაში, რომელიმე ოპოზიციონერმა თქვას, ჩვენ ამდენი ვართ, ისინი იმდენი და ვინ მოერევაო. ეს განცხადება მტკიცებულებაა, რომ ძალადობრივ აქციებს აპირებენ, რაც არ გამოუვათ“, — განაცხადა **ზურაბ მაჭარაშვილმა.**

ანალიტიკოსის **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, რა არის იმის ინდიკატორი, რომ 4 ოქტომბრის აქციის ორგანიზატორ რადიკალებს უჭირთ? ესაა აქციამდე მათი ლიდერების, მაგალითად, ხაზეიშვილის მდედრი კლონის, წითლიძის მოხშირებული განცხადებები, თითქოს, ხელისუფლებას აქციის ეშინია, თითქოს, სპეცრაზმი ვერ აუვა ამდენ ხალხს.

„ეს მოძველებული ხერხი ბევრჯერ გვინახავს. რადიკალები ასე ცდილობენ გულუბრყვილო ხალხის წამოკიდებას, რომ მათში ყალბი იმედები გააღვივონ და როგორმე აქციაზე მიიყვანონ. ხალხს კი ეს უაზრო აქციები ბეზრდება უკვე. ისე საინტერესოა, მაშინ რას იზამენ და სად გაასწრებენ, თუკი ხალხი, რომელიც მათ ვერ იტანს, მასობრივად გამოვიდა ქუჩაში, სამართალდამცველებისა და სახელმწიფოს დასახმარებლად? ისინი ძალიან ბევრნი, მათზე ბევრნი იქნებიან და ვინძლო, სპეცრაზმსაც გაუჭირდეს მათი შეკავება. ეს ყველაზე მძიმე სცენარი იქნებოდა, უპირველეს ყოვლისა, „კოლექტიური წითლიძეებისათვის“, მაგრამ მათ და აქციის მონაწილეებს თავად მიჰყავთ საქმე ამისკენ“, — აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** განცხადებით, საქართველოში, ბოლო დღეებია დამდგარი, აწ უკვე სექტად ქცეული, კოლექტიური „ნაცმოძრაობა“, იგივე ლიბერალურ-ფაშიზმისათვის. შესაბამისად, ბოლო დღეებში, შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან და ამას თავადაც უმწარესად გრძნობენ, ამიტომაც აპირებენ, ერთი კიდევ წაიკბინონ თავიანთი პოლიტიკური განადგურების ბოლოჟამს, რის გამოც, საკუთარი თავის საბოლოო დაღუპვის თარიღად, სწორედ 4 ოქტომბერი გამოაცხადეს.

„იციან, რომ საქართველოს მოსახლეობა იმაზე არანაკლებ ელოდება 2025 წლის 4 ოქტომბერს, ვიდრე ელოდა 2012 წლის 1 ოქტომბერს. იციან, რომ მათი რეალური და პოტენციურად უსაშიშრესი, აწ უკვე სექტა, პოლიტიკურ-სამართლებრივად დასრულდება და აუცილებლად გასამართლდება (მასალები საპარლამენტო საგამოძიებო კომისიისა დევს და ელის ამოქმედებას). იციან, რომ კარს არის მომდგარი მათი კანონგარეშედ გამოცხადება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში (თქვენ ნახავთ, რომ ანალოგიური პროცესები სულ მალე დაიწყება აშშ-ში, ცოტა მოგვიანებით კი ევროპაში).

იციან, რომ 4 ოქტომბრის შემდეგ, კანონის ფარგლებში, მათი დანდობა არ იქნება არსად, ქვეყნის არცერთ კუთხეში! ამიტომაც ჩაუყენეს ამ პოლიტიკურად განწირულებს სათავეში ტლუ, უვიცნი, უწიგნურნი, გაუნათლებელნი და გაჯონჯოლიებულნი: ბრიყვი ხაზე, მელობიე ნანულა, „მევენახე“ ია, თინა „ტაივანჩიკი“, ზანი პაატა, გუზაზას ბურვაკი... ისტორიული პროცესი ლოგიკური დასარულისაკენ მიდის. მის აღსრულებამდე დარჩა მხოლოდ 11 დღე“, — აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე.**

**თამთა ქარჩავა.**



მარცხისთვის განწირულებს გოგა ხაჩიძეც შეემატა...

ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი
GEORGIAN MUSEUM OF FINE ARTS

**ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის გახსნიდან 7 წელი გავიდა – ამ თარიღს მუზეუმი პარიზში გადახვეწილი ქართველი მხატვრის – ვარლას მემკვიდრეობის დაბრუნებით აღნიშნავს.**

**ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის ინფორმაციით, ფელიქს ვარლამიშვილის გამოფენა სახელწოდებით „დაბრუნება“ მუზეუმში დღეს, 26 სექტემბერს, 18:00 საათზე გაიხსნება და დროებით საგამოფენო დარბაზში 2 თვის განმავლობაში დარჩება. შემდეგ კი ნამუშევრები სხვა ექსპოზიციით მუზეუმის ზედა სართულზე, მუდმივმოქმედ კოლექციაში გადაინაცვლებს.**



# «დაბრუნება»

## ფელიქს ვარლამიშვილის გამოფენა ქართული სახვითი ხელოვნების გალერეაში



**„წარმოდგენილი დროებითი ექსპოზიცია წარმოაჩენს ფელიქს ვარლამიშვილის სამშობლოსადმი ნოსტალგიის ერთგვარ დასასრულს.**

ვარლას უნიკალური ტილოები კოლექციისთვის მუზეუმის დამფუძნებლის **გია ჯოხთაბერიძის** ინიციატივით შეგროვდა. 7 წლის განმავლობაში, სხვადასხვა აუქციონზე შეძენილმა ნამუშევრებმა ბინა ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაიდო.

მუზეუმის დაარსების მთავარი მიზანი სწორედ ქართული ხელოვნების უნიკალური ნიმუშების საქართველოში შენარჩუნება იყო, ხოლო ვარლას მემკვიდრეობის ევროპიდან სამშობლოში დაბრუნების პრეცედენტით, მუზეუმის კულტურის პოლიტიკა კიდევ უფრო გაფართოვდა.

ფელიქს ვარლამიშვილი 1930-იანი წლებიდან საფრანგეთსა და არგენტინაში მოღვაწეობდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი 1920-იან წლებში საქართველოში პოპულარული იყო და არაერთ გამოფენაში მონაწილეობდა, მისი მხატვრული ხელწერა დასავლეთში ყალიბდება. ვარლა პარიზში ცხოვრობდა მონპარნასზე, ქმნიდა დეკორატიულ ხელოვნებას სიეჟელის ატელიეში, მისი პირველი გამოფენა კი 1933 წელს სპერანცას გალერეაში გაიმართა. 1945 წელს ვარლამიშვილი ხდება „შემოდგომის სალონის“ წევრი.

ვარლას შემოქმედებაში მეორე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო ბუენოს-აირესი. 1950 წელს არგენტინაში მოეწყო მისი პირველი გამოფენა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. 1952 წელს არტისტი ბრუნდება საფრანგეთში და გარდაცვალებამდე ფერწერულ-გრაფიკულ ნამუშევრებს სწორედ იქ ქმნის.

არსებულ გამოფენაზე სწორედ ამ პერიოდის ნამუშევრებით იკვრება ვარლას ერთგვარი მონოლოგი. მისი შემოქმედების გრძნობადობა ეფუძნება საქართველოსადმი ნოსტალგიისა და დასავლეთში მოღვაწეობის ფაქტორებს; მასში ქართული კულტურული კოდები არტისტული კრედოს დონეზე არსებობდა. არავის ჰგავს ვარლას სამყარო და პერსონაჟები; უნივერსალურიცაა და ქართულიც. სტილური ნიშნებით იკითხება ფრანგული მოდერნისტული სკოლა, აბსტრაქციონიზმი, სიმბოლიზმი, სუბიექტივიზმი და ფორმალიზმი, თუმცა ქართული „კულტურული ნოსტალგია“ ვლინდება შემდეგ ნიუანსებში: პეიზაჟებში, პერსონაჟების ქართულ სილაღეში, სუფრის თუ სტუმარმასპინძლობის სცენებსა და ზოგადად გამზიარებლურ კულტურულ მოდელში.

პირველადი აღქმით, მრავალფიგურული კომპოზიციები თუ დასახლებული სივრცეები უაღრესად სოციალურია, თუმცა ამავდროულად მუდმივად იკითხება საპირისპიროც, ეს არის – გარინდება, პირადი სივრცე, ჭვრეტა, რომანტიზმი თუ პოეტური მსოფლაღქმა.

ვარლას სამყარო, მისი „ევროპულ-ქართული“ ფერწერული დღიურები, ქართული კულტურის ერთგვარი გამოვლინებაა, მასთან მთავარი მოქმედი პირი არის ინდივიდი, პროტაგონისტი“...

**მაშ, ასე: გელოდებით დღეს ქართული სახვითი ხელოვნების უნიკალურ მუზეუმში ვარლას მემკვიდრეობის გამოფენაზე!**


ტროას ცხენი


ვენეცია


მეთევზეები

# „გაფუჭებული“ ესკალატორი და ტელესუფლიორი გაეროში...

**ბრიტანული გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ (The Daily Telegraph)** 24 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ახლა დონალდ ტრამპს არავინ აღარ დასცინის: აშშ-ის პრეზიდენტის გამოსვლა გაეროში მკვეთრად განსხვავდება მისი 2018 წლის გამოსვლისაგან“** (ავტორი – **როზ კრილი,** სპეცკორესპონდენტი ნიუ-იორკში). პუბლიკაციაში განხილულია ამერიკის მეთაურის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე.

**გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:**

**იყო დრო, როცა დონალდ ტრამპზე იცინოდნენ, როცა იგი ქვეყნის შიგნით მიღწეული წარმატებებით ტრაბახობდა.**

სამშაბათს კი გაეროს სხდომათა დარბაზში, სადაც მსოფლიოს ქვეყნების დელეგატები იყვნენ შეკრებილნი, საოცარი სიჩუმე იდგა, როცა მათ მისტერ დონალდ ტრამპი ლანძღავდა და აკრიტიკებდა იმისთვის, რომ ისინი საკუთარ ქვეყნებს კატასტროფისაკენ მიაქანებდნენ; როცა იგი დასცინოდა გაეროს (მასპინძელს) გაფუჭებული ესკალატორისა და ტელესუფლიორის გამო, როცა იგი უდიერად მოიხსენიებდა სამართალზე დაფუძნებულ თანამედროვე საერთაშორისო წესრიგს და ყურადღებას არ აქცევდა გამოსვლის დროის 15-წუთიანი ლიმიტის ამოწურვას.

**„და მაინც, მოხარული ვარ, რომ ამ დარბაზში თქვენთან ერთად ვარ“,** – თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა თავის გამოსვლისას და განმარტა, თუ რატომ კითხულობს ტექსტს, ქაღალდზე დაბეჭდილს და ზოგჯერ მის გარეშეც: **„ასე უფრო გულწრფელად ვამბობ ხოლმე. საერთოდ კი ვატყობ, რომ ამ ტელესუფლიორის მუშაობაზე პასუხისმგებელ პირს წინ დიდი უსიამოვნება ელოდება“.** როგორც იქნა, აუდიტორიამ გაიღიმა.

აშშ-ის პრეზიდენტის 2025 წლის გამოსვლა გაეროში ძალიან განსხვავდებოდა 2018 წლის გამოსვლისაგან, როცა იგი თავს იწონებდა თავისი ადმინისტრაციის მიერ მიღწეული ისეთი დიდი წარმატებებით, **„როგორიც აშშ-ის ისტორიაში არასოდეს არ მომხდარა“. შვიდი წლის წინ გაეროს იმავე დარბაზში დონალდ ტრამპი სიცილით და ირონიული შეძახილებით გააცილეს. იმდროინდელმა ესოდენ საჯარო დამცირებამ ტრამპი გაამწარა, გაეროს ზურგი შეაქცია და შექმნა მოძრაობა „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“! – „დავუბრუნოთ ამერიკას ძველი დიდება“.**

მაგრამ ბოლო 7 წლის განმავლობაში აშშ-ის პრეზიდენტიც შეიცვალა და მსოფლიოც.

მისტერ დონალდ ტრამპმა ჯერ 2020 წლის არჩევნები წააგო, შემდეგ საარჩევნო კამპანიის დროს, 2024 წელს, მკვლელობის მცდელობა გადაიტანა და ბოლოს, ხელისუფლებაში ერთგული ლოიალისტების ისეთი გუნდით დაბრუნდა, რომლის წევრებს, პრეზიდენტის მეთაურობით, აშშ-ის ინსტიტუტების და მსოფლიო წესრიგის მიმართ დარტყმის მიყენება ჰქონდათ განზრახული.

გაეროს დარბაზში მყოფი დელეგატები მიხვდნენ, რომ 2025 წლის დონალდ ტრამპი, რომელსაც 2018 წელს აშშ-ის ხელისუფლებაში ნორმიდან მოკლევადიან გადახრად თვლიდნენ, უკვე ისეთად აღარ ჩაითვლება: იგი წარმოადგენს იმ მთავრობას, რომელიც ჩამოყალიბდა ახალი საერთაშორისო პოპულარული მოძრაობის ფონზე. გაეროს დარბაზში მყოფი მსოფლიო ლიდერები ახლა უკვე მიხვდნენ, რომ მისტერ ტრამპთან მუშაობა და თანამშრომლობა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე მასთან უთანხმოება და წინააღმდეგობა. შესაბამისად, თავისი გამოსვლის დროს დონალდ ტრამპმა თავისი მტრები საჯაროდ გააკრიტიკა და თავის წარმატებებზე ისე ილაპარაკა, რომ აუდიტორიაში მისი დაცინვა გულშიც არავის გაუვლია.

**„დღეს, ხელისუფლებაში ჩემი ადმინისტრაციის მოსვლიდან სულ რაღაც რვა თვის შემდეგ, ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატები, ყველაზე ცხელი და გამოწრთობილი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, რომლის მსგავსი ახლომახლო არცერთი არ არის“,** – განაცხადა დონალდ ტრამპმა ისე, თითქოს იგი გამოფენაზე იყო და დამთვალიერებლებს იწვევდა



რამდენიმე დღის წინ აშშ-ის პრეზიდენტი სახელმწიფო ვიზიტით სტუმრობდა ლონდონს, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ბრიტანეთის მეფე-დედოფალს და აქებდა მასპინძლებს, გაეროში კი მისი გამოსვლა სრულიად განსხვავებული იყო. **„ოჰო, ერთი ამას უყურეთ!“,** – ასე დაწერა დონალდ ტრამპის ერთ-ერთმა ყოფილმა მრჩეველმა სოციალურ ქსელში.

მისტერ პრეზიდენტი ისეთი ტონით ლაპარაკობდა გაეროს შენობის მდგომარეობაზე და ისე ემოციურად აღწერდა ესკალატორის და ტელესუფლიორის გაფუჭებას (მოძრავი კიბე უეცრად იმ დროს გაჩერდა, როცა დელეგატები დარბაზში იკრიბებოდნენ), რომ თითქოსდა სიამოვნებდა კიდეც. მან ეს ფაქტები მეტაფორულად გამოიყენა – წესრიგი არც გაეროში არ არის და არც მსოფლიოში, ამიტომ პირადად მას უწევს რიგი საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება.

**„აი, რაც მე ვნახე გაეროში – მოშლილი ესკალატორი და გაფუჭებული ტელესუფლიორი... და განა რას ელოდებით იმ ორგანიზაციისგან, რომელიც ვერანაირად ვერ იყენებს თავის პოტენციალს? დღეს აქ ერთი შეხედვით კატეგორიულ, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ არაფრის მთქმელ წერილებს თხზავენ და განცხადებებს იღებენ“.**

როგორც ყოველთვის მისტერ ტრამპის შემთხვევაში, მისი მსოფლმხედველობა დაკავშირებულია მის პირად გამოცდილებასთან დეველოპერულ საქმიანობაში.

2000-იანი წლების დასაწყისში დონალდ ტრამპის პროექტი (ხარჯები მან თავისი ჯიბიდან გადაიხადა) მანჰეტენზე მდებარე გაეროს შტაბბინის რეკონსტრუქციის თაობაზე, უარყოფილი იქნა, ანუ მისი გრანდიოზული გეგმა გაეროს დარბაზების იატაკის მარმარილოს ფილებით მოპირკეთების შესახებ ვერ განხორციელდა.

**„შეატყვეთ, რომ თქვენ უბრალო ქვის იატაკზე დააბიჯებთ?“,** – მიმართა მან აუდიტორიას, სადაც მსოფლიოს ლიდერები და დიპლომატები ისხდნენ, – „ხომ შენიშნეთ?“.

გამოსვლის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ დონალდ ტრამპი უკვე ირანისადმი დარტყმების მიყენებაზე საუბრობდა: **„ჩვენ მსოფლიოში ყველაზე მძლავრი იარაღი გვაქვს“.** ტრიბუნაზე უკვე წითელი ნათურა აინთო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტრამპმა გამოსვლის დროის ლიმიტს გადააჭარბა, თუმცა მისთვის ამ გაფრთხილებას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ისევე როგორც ნატოს სამიტის ორგანიზატორებმა, რომლებმაც ერთმანეთთან თავიანთი შეხვედრების დრო შეამცირეს იმისთვის, რომ დონალდ ტრამპთან საუბრისათვის უფრო მეტი დრო ჰქონოდათ, ალბათ, გაეროს ოფიციალურმა პირებმაც გადაწყვიტეს, რომ მისტერ ტრამპისთვის ნება მიეცათ **„ტრიბუნაზე თავისი საქმე ეკეთებინა“** და მისთვის გამოსვლა არ შეეწყვეტინებინათ.

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა 57 წუთი ილაპარაკა, რომლის დროსაც იგი დამცინავად აკრიტიკებდა **„მძინარე ჯოს“** (ჯო ბაიდენს) და „მწვანე ენერგეტიკასთან დაკავშირებულ მსოფლიო აფიორას“; აცხადებდა, რომ **„ქრისტიანობა დედამიწაზე ყველაზე დევნილ რელიგიას წარმოადგენს“ და დასავლეთ ევროპელებს აფრთხილებდა, რომ მიგრაციისგან „იღუპებით და ჯოჯოხეთისაკენ მიექანებითო“.**

**„ძროხებზე აღარ ილაპარაკოთ, გეყოფათ“,** – თქვა დონალდ ტრამპმა და ეკოლოგებს ნახშირორჟანგა გაზის დაგროვების გამო წუხილის გამოხატვისათვის დასცინა, – **თქვენ ფიქრობთ, რომ ძროხები გადაშენდებიან?“.**

ძაფი, რომელიც მის ნათქვამ ყველაფერს აკავშირებდა, იყო ის, რომ დღევანდელი მსოფლიო წესრიგი ზოგადად და კერძოდ – გაერო, არასწორად წყვეტს თანამედროვე უმნიშვნელოვანეს პრობლემებს და ამ ფონზე რაოდენ სწორი და უკეთესია დონალდ ტრამპის მიდგომები.

ყველაფერი – დაწყებული ირანიდან, ღაზას სექტორიდან, ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკიდან და დამთავრებული სიტყვის თავისუფლებით და ემიგრაციის პრობლემით – ტრამპის გამოსვლაში მხოლოდ ერთ საკითხს უკავშირდებოდა: იმას, რომ მას უარი უთხრეს გაეროს შენობის რეკონსტრუქციაზე. **„და მე მივხვდი, რომ მათ არ იცოდნენ, რასაც სჩადიოდნენ, როცა საქმე ჩემს მიერ შენობის რემონტზე უარის თქმამდე მივიდა... ვფიქრობდი: მოიცათ, ნახავთ რა ძვირი დაგიჯდებათ და ხარჯებს რამდენად გადააჭარბებთ...“**

**„დიახ, მე მართალი აღმოვჩნდი“,** – დაასკვნა პრეზიდენტმა.

# რუსეთი ქაღალდის ვეფხვია...

**ბრიტანულმა გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა“ (The Daily Telegraph)** 24 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა სტატია სათაურით **„დონალდ ტრამპი, უკრაინის ომთან მიმართებით, „ხელებს იბანს“: ის, რაც თითქოსდა მის საოცარ შემობრუნებად მოგვეჩვენოს, სინამდვილეში ვოლოდიმირ ზელენსკისათვის შეიძლება ცუდი ამბავი აღმოჩნდეს“** (ავტორი – **როზ კრილი**).

**გთავაზობთ პუბლიკაციას:**

**„ის, რაც დონალდ ტრამპმა განაცხადა უკრაინის შესახებ, მოულოდნელი იყო არაპროგნოზირებადი პრეზიდენტისგანაც კი. როგორც ცნობილია, აშშ-ის პრეზიდენტი თავისი ქცევით ხშირად მტრებსაც და მეგობრებსაც აკვირვებს, მაგრამ სამშაბათს მან გაეროს გენასამბლეის სხდომაზე საკუთარ თავს გადააჭარბა.**

**თვითონ განსაჯეთ: დონალდ ტრამპი რამდენიმე თვის განმავლობაში აცხადებდა, რომ უკრაინამ უნდა გააცნობიეროს – მისი აღმოსავლეთი ტერიტორიები უკვე დაკარგულია და დროა რუსეთთან ზავი დაიდოსო, ახლა კი გაეროში გამოსვლის დღეს მან ახალი საოცარი პოზიცია გამოხატა: „მე ვფიქრობ, რომ უკრაინას, ევროკავშირის მხარდაჭერით, აქვს შესაძლებლობა იბრძოლოს და დაიბრუნოს ტერიტორიები ადრინდელი სახით. დროთა განმავლობაში, მოთმინების გამოჩენით, ევროპისა და ნატოს ფინანსური მხარდაჭერით, იმ საზღვრების აღდგენა შეიძლება, საიდანაც ომი დაიწყო. ეს სრულიად შესაძლებელია“,** – დაწერა ტრამპმა სოციალურ ქსელში.

**რამ განაპირობა დონალდ ტრამპის თვალსაზრისის ცვლილება?**

საყურადღებოა, რომ პრეზიდენტი გაეროს გენასამბლეის სესიაზე სიტყვით ვოლოდიმირ ზელენსკისთან და ურსულა ფონ დერ ლაიენთან შეხვედრის შემდეგ გამოვიდა. და ეს მოხდა დიდ ბრიტანეთში განხორციელებული ვიზიტის ფონზე, როცა მეფე ჩარლზმა დონალდ ტრამპს ვინძორის სასახლეში გამართულ ბანკეტზე რბილად შეახსენა, რომ **„ევროპას ტირანია ისევ ემუქრება“.**

გუშინ, სამშაბათს, გაზეთები დონალდ ტრამპის პოსტის პოსტით იყო აჭრელებული. კომენტატორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ პრეზიდენტმა გასაოცარი შემობრუნება განახორციელა – მხარი დაუჭირა უკრაინის გამარჯვებას და მისი საზღვრების აღდგენას.

**მაგრამ საკითხავია – მართლაც დაიღალა აშშ-ის პრეზიდენტი თავისი რუსი კოლეგის ვლადიმერ პუტინის მოქმედებისაგან? ბოლოს და ბოლოს, დონალდ ტრამპს არაერთხელ უთქვამს პუტინზე თბილი სიტყვა და იმავდროულად უკრაინას რაკეტებს და დრონებს აწოდებდა (რასაც მელანიაც ამბობს თავის ქმარზე).**

მართლაც მხარს უჭერს დონალდ ტრამპი ამჟამად უკრაინას და მის ლიდერს, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ, თებერვალში, ოვალურ კაბინეტში შეხვედრის დროს, მთელი მსოფლიოს წინაშე დაამცირა პირდაპირ ტელეეთერში?

**ალბათ, მხარს უჭერს მხოლოდ განსაზღვრულ მომენტამდე.**

დონალდ ტრამპზე, როგორც ვიცით, ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას ძალის გამოვლენა ახდენს და იგი მუხლს იდრეკს გამარჯვებულის წინაშე. აშშ-ის პრეზიდენტის გამოსვლა გაეროს გენასამბლეის სესიაზე და მისივე პოსტი ნათლად მოწმობს იმას, რომ მან დაინახა – რუსეთს არ შეუძლია მასზე ბევრად უფრო სუსტ მოწინააღმდეგეზე გამარჯვება (რუსეთი ვერ უშლის ხელს უკრაინისათვის იარაღის მიწოდებას და ეკონომიკური დახმარების გაწევას).

მოგვიანებით დონალდ ტრამპმა რუსეთი **„ქაღალდის ვეფხვად“** მოიხსენია: **„ნებისმიერ შემთხვევაში, მე ორივე მხარეს სიკეთეს ვუსურვებ“,** – დაამატა მან, – **„თუმცა ჩვენ გავაგრძელებთ ნატოსათვის იარაღის მიწოდებას. ალიანსს შეუძლია ეს იარაღი სურვილისამებრ გამოიყენოს... ყველას წარმატებებს ვუსურვებთ!“.**

თუ ღრმად ჩაყუკვირდებით დონალდ ტრამპის ამ ნათქვამს, შევამჩნევთ, რომ ეს არის სწორი ურთიერთობის გაკვეთილი, სწორი მოქმედების ნიმუში: იმის ნაცვლად, რომ უკრაინას ახალი დახმარება აღუთქვას ან რუსეთის მიმართ მეტი სიმკაცრე გამოიჩინოს, მისტერ ტრამპი, როგორც ჩანს, სიტუაციაზე პასუხისმგებლობას ევროპასა და ნატოს აკისრებს.

არ არის არავითარი მინიშნება უკრაინისადმი დამატებითი დახმარების გაწევაზე ან იმაზე, რომ დონალდ ტრამპი მოსკოვს მკაცრად დასჯის. მისი ერთადერთი მოვალეობაა თავის ევროპელ მოკავშირეებს – ნატოს წევრებს იარაღი მიაწოდოს და საერთოდ არ აინტერესებს, სად წაიღებენ ისინი ამერიკულ იარაღს.

მას შემდეგ, რაც აშშ-ის მეთაურმა სასწორზე თავისი რეპუტაცია დადო, ალასკაზე რუსეთის პრეზიდენტის მიწვევით და მასპინძლობის გაწევით, მისტერ ტრამპმა კიდევ ერთი გაკვეთილი აითვისა: ომის შეწყვეტა ადვილი არ არის. როგორც ჩანს, მისგან უკვე საკმარისია.

მოამზადა
**სიმონ კილაძემ**



# პროვოკაციული „ყველაზე ახლო მეგობარი“

**ვაშინგტონი, „ნეიშენალ მოლის“ გრძელი გაზონის ბოლოში 23 სექტემბერს ახალი, 3.6 მეტრის სიმაღლის კონსტრუქცია გაჩნდა, რომელზეც ტრამპი და ეპშტეინი არიან გამოსახულნი. მათ ერთმანეთისთვის ხელი აქვთ ჩაკიდებული, ფართოდ იღიმიან და ცალი ფეხი უკან აქვთ გაწეული. ორ ქანდაკებას შორის არის დაფა წარწერით: „მეგობრობის აღსანიშნავად“.**



ქვემოთ, კიდევ ერთ დაფაა, რომელზეც წერია: „ჩვენ ვზეიმობთ პრეზიდენტ დონალდ ტრამპსა და მის უახლოეს მეგობარს, ჯეფრი ეპშტეინს შორის არსებულ მტკიცე კავშირს“.

მესამე დაფაზე კი დატანილია ამონარიდები დაბადების დღის მისალოცი წერილიდან, რომელიც ტრამპმა ეპშტეინს, სავარაუდოდ, 2003 წელს მისწერა და რომელიც ორაზროვან ნახატებსაც შეიცავდა. წერილი წარმომადგენელთა პალატის ზედამხედველობის კომიტეტმა 8 სექტემბერს გაასაჯაროვა. თუმცა, აშშ-ის პრეზიდენტმა წერილის ავტორობა უარყო და „უოლ სთრით ჯორნალს“ უჩივლა, რომელმაც წერილის ფოტოები გამოაქვეყნა.

ქანდაკების ავტორობა საკუთარ თავზე არავის აუღია, მაგრამ ნამუშევარი იმ ინსტალაციების სერიის გაგრძელებაა, რომლებიც ტრამპის კრიტიკის შემცველია და რომლებსაც ანონიმური ჯგუფი გამოფენს. პროექტზე პასუხისმგებელია კოლექტივი „The Secret Handshake Project“-ი. ის საკუთარ თავს აღწერს, როგორც „მოქალაქეთა მცირე ჯგუფს, რომელიც ხელოვნებას, ირონიასა და იუმორს საჯარო სივრცეებში პოლიტიკური თემების სტიმულირებისთვის იყენებს“. ინსტალაციას ნებართვა ეროვნული პარკების სამსახურის მიერ არის გაცემული და ის 28 სექტემბრამდე უნდა იყოს გამოფენილი.

**P.S. პარკების ეროვნულმა სამსახურმა ქანდაკება დადგმიდან ერთი დღის შემდეგ აიღო. შინაგან საქმეთა დეპარტამენტმა, რომელიც აღნიშნულ სამსახურს ზედამხედველობს, ქანდაკების აღება დაადასტურა და აღნიშნა, რომ ქანდაკება გაცემული ნებართვის პირობებს არ შეესაბამებოდა.**

# სარკოზი ნაწილობრივ დამნაშავედ ცნეს!

**პარიზის სასამართლომ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ნაწილობრივ დამნაშავედ ცნო. სასამართლომ სარკოზი მუამარ კადაფისგან 2007 წლის ლიბიის საპრეზიდენტო არჩევნებში დახმარების სანაცვლოდ მილიონობით ევროს უკანონოდ მიღებაში დამნაშავედ ცნო.**

ამასთან, ნიკოლა სარკოზი გაამართლეს ყველა სხვა ბრალდებაში, მათ შორის კორუფციაში მონაწილეობისა და საფრანგეთში საარჩევნო კამპანიის უკანონო დაფინანსების საქმეებზე. მედიის ცნობით, სასამართლო ჯერ კიდევ დეტალურად განიხილავს თავის გადაწყვეტილებას და 70 წლის სარკოზისთვის განაჩენი ჯერ არ გამოუტანია. სარკოზის შეუძლია, გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სააპელაციო საჩივრის განხილვამდე ნებისმიერ სასჯელს შეაჩერებს. პროკურორები სარკოზისთვის შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვენ. ცნობისთვის, ნიკოლა სარკოზი საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტს 2007-2012 წლებში იკავებდა.

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

**მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 10 საშტატო ერთეული (0,5 საშტატო ერთეულზე)**
**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (0,5 საშტატო ერთეულზე)**
**მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული (0,5 საშტატო ერთეულზე)**

განცხადებების მიღება იწარმოებს 2025 წლის 27 ოქტომბრიდან – 29 ოქტომბრის ჩათვლით, $10^{00}$-დან $17^{00}$ საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, მერაბ კოსტავას ქ.N77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N338, პასუხისმგებელი პირი: თამარ გედევანიშვილი ტელ: 557 92 25 15.

კონკურსი ჩატარდება 2025 წლის 31 ოქტომბერს. კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2025 წლის 31 ოქტომბრისა, საკონკურსო კომისიის მიერ თვალსაჩინო ადგილზე, ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ვებგვერდებზე: https://geoanbani.com/; https://gtu.ge/

კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით განცხადებები/საჩივრები საკონკურსო კომისიაში მიიღება 2025 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაცია (კონკურსანტის ანკეტა, განცხადება, გასაუბრების ჩატარების დრო და ადგილი) გამოქვეყნდება ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ვებგვერდებზე: https://geoanbani.com/ ; https://gtu.ge/

**II. საკონკურსო პირობები**
**კონკურსის ძირითადი პირობები:**

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ პირობებს.

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

გ) მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

**დამატებითი პირობა:**

საკონკურსო მოთხოვნების დამატებითი პირობაა აფხაზური ენის ცოდნა:

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის 1 (ერთი) ვაკანტურ თანამდებობაზე;

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე;

მეცნიერი თანამშრომლის 1 (ერთი) ვაკანტურ თანამდებობაზე.

მეცნიერის (მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, მეცნიერი თანამშრომლის) თანამდებობაზე პირი აირჩევა 5 წლის ვადით.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირადად (ან წარმომადგენლის მეშვეობით) უნდა წარმოადგინოს:**

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გამოქვეყნდება ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ვებგვერდებზე: https://geoanbani.com/ ; https://gtu.ge/), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი და ასლი);

ბ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);

გ) სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები) დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით;

დ) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის ან მისი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

ვ) 2 ფოტოსურათი 3X4;

ზ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

**შენიშვნა:** ცნობების წარმოდგენისგან თავისუფლდება პირი, ვისაც აღნიშნული ცნობები უკვე წარმოდგენილი აქვს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურში.

**III. კონკურსის ჩატარების წესი**

კონკურსი ჩატარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიაში, უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის ვებგვერდებზე;

საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კონკურსანტის კვალიფიკაციის და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული და სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე (კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს განცხადება

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების მიზნით ახორციელებს პროექტს 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხის“ მშენებლობას. პროექტი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა და მიზნად ისახავს რეგიონში ელექტრო მომარაგების გაზრდას და ერთიანი ენერგოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებას.

ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძულუხში ირაკლი როხვაძის და ვენერა როხვაძის თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მოექცა პროექტის ზემოქმედების არეალში – ხაზის დაცვის ზონაში, რომელზეც საკუთრების უფლების მოპოვების სანაცვლოდ განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია შესაბამისი სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურება:

აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ირაკლი როხვაძეს და ვენერა როხვაძეს ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად იწვევს მოლაპარაკებისათვის.

გთხოვთ, საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან 5 დღეში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეგხ-ს ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე, კერძოდ, **4** კვ.მ-ზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს.

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს განცხადება

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების მიზნით ახორციელებს 500 კვ. „ჯვარი-წყალტუბოს“ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (შემდგომში ტექსტში - ეგხ) მშენებლობის პროექტს. პროექტი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა და მიზნად ისახავს რეგიონში ელექტრო მომარაგების გაზრდას და ერთიანი ენერგოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებას.

500 კვ. ეგხ „ჯვარი-წყალტუბოს“ ზემოქმედების არეალში მოექცა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ მაღლაკში მდებარე, თქვენს - ინგა კვიციანის (პ/ნ 53001015339) თანასაკუთრებაში არსებული N29.10.31.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი, კერძოდ 123.00 კვ.მ.. შესაბამისად, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების სანაცვლოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გიწვევთ მოლაპარაკებისათვის.

გთხოვთ, საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან 5 დღეში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ეგხ-ს ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე, კერძოდ 123.00 კვ.მ.-ზე საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით იმოქმედებს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.



# რუსთავს რაგბის ახალი სტადიონი დაამშვენებს

**რუსთავში, რაგბის ახალი ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მშენებლობა დაიწყო.**

ახალი სტადიონის ბაზაზე, რუსთავში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისა და ბავშვთა რაგბის განვითარების მიზნით, აკადემია დაარსდება. ლომოურის ქუჩაზე, იქ სადაც წლების წინათ, რუსთავის პირველი რაგბის სტადიონი იზიდავდა ქომაგს, რუსთავის მერმა **ნინო ლაცაბიძემ**, მშენებლობის დაწყების ნიშნად კაფსულა, პარლამენტარებთან **ირაკლი შატაკიშვილთან** და **ალექსანდრე დალაქიშვილთან,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ, პარლამენტარ **დავით კაჭარავასთან** ერთად ჩაადო.

ნინო ლაცაბიძის თქმით, ბავშვთა რაგბის აკადემია, რომელიც აშენდება, ასობით რუსთაველ ახალგაზრდას მოემსახურება.

**„იმ პროექტებთან ერთად, რომელსაც საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ვახორციელებთ, რუსთავში რაგბის ახალი სტადიონის მშენებლობა დავიწყეთ და მიხარია, რომ ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი კარგი ტრადიცია დაუბრუნდება. ჩვენი სახელოვანი მორაგბეები, სწორედ ამ ტერიტორიაზე – ლომოურის ქუჩაზე არსებულ მოედანზე გაიზარდნენ და ძალიან ბევრი წარმატება მოუტანეს ჩვენს ქალაქს და ქვეყანას. ბავშვთა რაგბის აკადემია, რომელიც აქ აშენდება, ასობით რუსთაველ ახალგაზრდას მოემსახურება, იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი სახელოვანი სპორტსმენი აღიზარდოს ჩვენს ქალაქში და რუსთავი კიდევ უფრო მეტი ჩემპიონის ქალაქი გახდეს“,** – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

ღონისძიებას, რუსთავის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ წევრები, ვეტერანი და რუსთავის „ხარების“ მორაგბეები ესწრებოდნენ.

ახალი სტადიონის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა დავით კაჭარავამაც.

**„რუსთავში ძალიან მნიშვნელოვანი დღე და ზეიმია, იმიტომ, რომ ეს არის ადგილი, სადაც რუსთავის რაგბის ისტორიაში პირველი თაობის მორაგბეები იწყებდნენ თამაშს. ეს ისტორიული ადგილია რუსთავისთვის და ვფიქრობ გადაწყვეტილება, რომ ეს ტერიტორია დაუბრუნდეს რაგბის და მაღალი სტანდარტის რაგბის მოედანი გაკეთდეს აქ, ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა რუსთავის მერიას და იმ ადამიანებს, რომლებმაც ამ გადაწყვეტილებაში მიიღეს მონაწილეობა“**, – განაცხადა პარლამენტარმა, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **დავით კაჭარავამ.**

**ლომოურის ქუჩაზე, 8000 კვ/მ ფართობზე ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანი აშენდება. სტადიონის გარდა, პროექტი ტრიბუნების, დამხმარე ნაგებობების, გასახდელების, საშხაპეების, სამედიცინო ოთახის მოწყობას ითვალისწინებს. ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება 2 980 225 ლარია და სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.**

# მონარქის საკადრისი

**ნბა თავად გახლავთ საპალათბურთო მონარქია, ამიტომ მილიონერთა კლუბში სამეფო გვირგვინის დადგმა ყველაფერზე მეტყველებს.**

თითქოს ახალი რა უნდა ითქვას ოთხგზის ოქროს ბეჭდის მფლობელსა და სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ, აგრეთვე უამრავი ინდივიდუალური პრიზის კავალერზე, მაგრამ წიგნი რისი წიგნია, რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია დამატებით სულიერ საზრდოდ რომ არ მოაწოდოს მკითხველს.




მოკლედ, ამასწინანდელი ჩვენთვის ისტორიული ევროპასკეტიდან მხრეგში გამართულად დაბრუნებულ კოლეგებთან არაფორმალურ შეხვედრაზე **გოჩა კაჭარავამ** მისი ავტორობითა და სერია ‘ლეგენდების“ მთავარი რედაქტორის **ვაჟა სიმონიშვილის** თანადგომით გამოცემული მორიგი, გულშემატკივრისთვის სამაგიდო კრებული – ‘ჯეიმსი“ მისახსოვრა (რედაქტორი – **მამუკა ჩიხლაძე,** დაიბეჭდა ‘არტანუჯის“ ეგიდით).

მართლაც, იცოდით, რომ უკვე მეხუთე ათეულ წელიწადში გადამდგარი **ლებრონ პირველი** 16 წლის გლორიასა და ოჰაიოს შტატის პატარა ქალაქ აკრონის დამნაშავეთა სამყაროს ქურდბაცაცა წევრის ენტონი მაკლელანდის რამდენიმეღამიანი ვნებათა იმპერიის ნაყოფად მოევლინა ქვეყნიერებას და მსოფლიოს სპორტის სუპერვარსკვლავი მადლიერების ნიშნად ატარებს მისთვის თავშეწირული აღმზრდელი მარტოხელა დედის გვარსა და არა შამქმნელისას?

რივზები, კელკერები და უოკერები – ეს ის მეზობლები და კეთილი მწვრთნელები არიან, ვინც საკუთარ ჭერქვეშ იფარებდნენ გაჭირვებაში, მაგალითად – გათბობის გარეშე, სისტემატურად ახალ-ახალ საცხოვრისში გადაბარგებულ – გაზრდილ ტალანტს. მოგვიანებით იგი იტყვის: **‘სხვა გარემოში, ყურადღებიანი დედ-მამის, დაძმების, ოჯახის ძაღლის გარემოცვაში, საკუთარ ლამაზ ბაღიან სახლში რომ გავზრდილიყავი, ასეთი მიზანსწრაფული არ ვიქნებოდი და არც ირგვლივ მყოფთა მზრუნველობაზე ვიფიქრებდი“.**

ეს, ასე ვთქვათ, საღერღელის ასაშლელად, დანარჩენს კი, ვისაც აღნიშნული ნაკალმარი ჩაგივარდებათ ხელში, კიდევ ბევრი საინტერესო სტრიქონი გაგიმდიდრებთ თვალსაწიერს.

# ფორუმზე — ზედიზედ მეორედ!




**მოხდა ისე, რომ უკვე მერამდენედ, საინტერესო ქართული სპორტული მოვლენები ერთ საღამოს ერთმანეთის მიყოლებით განვითარდა, თანაც მნიშვნელობით ყველაფერი თანმიმდევრობით დალაგდა, რამაც ჩვენც გაგვიადვილა არჩევანი. ასე რომ, მოდით, დავიცვათ რიგი და სათქმელი ისე ვთქვათ.**

**ფუტსალი.** ევრო – 2026-ის საპასუხო პლეი-ოფი. ბრატისლავა. სლოვაკეთი – საქართველო 5:3 (პირველი მატჩი 1:4, საერთო ანგარიში 6:7).

ვულოცავთ **ავთანდილ ასათიანს** და მის გაწვრთნილ ჭაბუკოსნებს კონტინენტური ფორუმის ფინალური რაუნდის საგზურის ზედიზედ მეორედ დაუფლებას. თვით ტურნირს გაისად იანვარ-თებერვალში სლოვენია, ლატვია და ლიეტუვა უმასპინძლებენ, ხოლო ჯგუფური ეტაპის წილისყრა 24 ოქტომბერს კაუნასში მოეწყობა.

სათქმელად ადვილია – ერთი წინადადებით გამოხატო თანამემამულეთა წარმატებით აღტაცება, მაგრამ ვინც დრამატული მეორე ბრძოლის პირდაპირ ტელერეპორტაჟს უყურა, დაგვეთანხმება, რომ ბიჭები მადლიერებას იმსახურებენ.

კი, ბატონო – იყო ნერვიულობა, ბავშვური შეცდომებიც, გამოუყენებელი პენალტი კრიტიკულ ვითარებაში, მაგრამ იყო ფრონტის ხაზზე მიღებული ტრავმები, ომიც, სამაგალითო ნებისყოფა, როცა მეორე ტაიმში მალევე მივიღეთ საგანგაშო მე-5 ჯარიმა და მეტი შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვქონდა და, ბოლოს, გმირული დასკვნითი, უსაშველოდ გაჭიანურებული რამდენიმე წუთი. მოკლედ, გავუძელით და ყველას დავუმტკიცეთ, რომ ბრაზილიელ ლეგიონერთა გარეშეც შეგვიძლია ქართული (დარბაზის) ფეხბურთის თამაში და ტრადიციების ერთგულება!

ბუნებრივია, ქებათაქება ჩვენი ეროვნული ნაკრების თითოეულ წევრს, თუმცა მაინც აღსანიშნავია კოჭლობით მოთამაშე გუნდის კაპიტნის **თოდუას** ვაჟკაცობა, რომელმაც მე-100 სანაკრებო მატჩი მასპინძელთა კარში გატანილი მე-3 და, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ოქროს გოლით დაამშვენა ღავთაძის პასით, ვინც, თავის მხრივ, ვერგატანილი პენალტი ძვირფასი ასისტით გამოისყიდა.

**ინგლისი.** ლიგის თასი. ლივერპული – საუთჰემპტონი 2:1. ფეხბურთის სამშობლოში გამორჩეულად ესახებათ ენფილდზე სარეკორდო ფასად გადაბარგებული შვედი ბომბარდირის ისააკის მიერ გატანილი პირველი ბურთი, მაგრამ აბა ჩვენ გვკითხონ.

დიახ, ნისლიან ალბიონზე პირველი ქართველი ლეგიონერის გიორგი ქინქლაძის (კინკლაძედ რომ იხსენიებენ დღესაც) დებიუტიდან 30 წლის შემდეგ გვაქვს პატივი ბითლზების ქალაქური გრანდის მაისურის მორგება **გიორგი მამარდაშვილს** მივულოცოთ. მერე რა, რომ ეს ლიგის თასზე მეორე ეშელონის წარმომადგენელ კლუბთან მოხდა – მწამს, რომ ჩვენი იმედი ბრაზილიელ დიდოსტატ ალისონთან კონკურენციასაც დაძლევს და მერსისაიდელთა კარს სულ უფრო ხშირად პრემიერლიგისა და, რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებშიც დაიცავს.

რაც შეეხება სარეზერვო შემადგენლობით მოპოვებულ გამარჯვებას, მამარდაშვილმა რამდენჯერმე საიმედოდ ითამაშა, გაშვებული გოლი კი უშუალოდ დაცვის უხეშ შეცდომას მოჰყვა.

**ესპანეთი.** ლა ლიგა. სევილია – ვილიარეალი 1:2. გადატვირთული საშინაო და საერთაშორისო კალენდრის გამო სტუმრებმა ლიდერები 1:1-ზე ჩააბეს ბრძოლაში და ერთ-ერთმა მათგანმა – მინდორზე 75-ე წუთზე შესულმა **გიორგი მიქაუტაძემ** ფლანგური გარღვევის შემდეგ შედეგიანი გადაცემით 3 ქულის მომტანი ბურთი გაატანინა **სოლომონს.**



შეგახსენებთ, რომ გიორგიმ საგოლე ანგარიში წინა ტურში გახსნა, მისი პარტნიორები კი ცხრილში მე-3 ადგილზე არიან.

**საფრანგეთი.** ლიგა – 2. ამიენი-სენტ ეტიენი 0:1. სტუმართა გამარჯვებაში, ტრადიციულად, დიდი როლი ითამაშა გამოჯანმრთელებულმა **ზურიკო დავითაშვილმა,** რომლის დარტყმულიც ძელმა მოიგერია და დამატებაზე სტოსენმა იყოჩაღა. ერთ დროს ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი სოლიდური უპირატესობით ინარჩუნებს ლიდერობას და, მართალია, სეზონი ახალი დაწყებულია, მაგრამ უკვე ელიტაში დაბრუნების მთავარი კანდიდატია.

# ბიზნესმენ ლევან ჯანგველაძის მკვლელობა „დედ ჰასანის" შვილიშვილმა 5 მილიონი დოლარის სანაცვლოდ შეუკვეთა!



**ოთარ ფარცხალაძეს და ძმებ მიქაძეებს ჯანგველაძესთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, რომელიც სიგარეტისა და ალკოჰოლის რუსეთში ექსპორტს შეეხებოდა – ე.წ. კანონიერი ქურდის დედ ჰასანის შვილიშვილმა ოთარ ფარცხალაძესა და ძმებ მიქაძეებს ხუთი მილიონი დოლარის სანაცვლოდ ჯანგველაძის მკვლელობა შეუკვეთა,** – ამის შესახებ ბიზნესმენ ლევან ჯანგველაძის მკვლელობისა და მისი მძღოლის, **გია ჩადუნელის** მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებული **გელა უძილაურის** სასამართლო პროცესზე, დეტექტივმა **რობიკო გოგიაშვილმა** განაცხადა.

მისი თქმით, ძმები მიქაძეები ლევან ჯანგველაძის წინააღმდეგ ვერ ბედავდნენ ფიზიკურ მოქმედებას, რადგან ლევან ჯანგველაძის ძმა „კანონიერი ქურდია".

**„ოპერატიული ინფორმაცია მივიღე, რომლის მიხედვითაც, გიორგი კაჭკაჭიშვილი ძმები მიქაძეების დაჯგუფების წევრი იყო. ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით, მის ტელეფონში არის ინფორმაცია სანდრო წივწივაძის იარაღების შესახებ. ის ნერვიულობდა, რომ სამართალდამცავებს შეიძლებოდა მისი ტელეფონი ადვილად გაეხსნათ (რადგან პაროლად მისი დაბადების წელი ეყენა) და იარაღების შესახებ მიეღოთ ინფორმაცია, ამ იარაღებიდან ერთ-ერთით გელა უძილაურმა ლევან ჯანგველაძე მოკლა.**

**ოთარ ფარცხალაძეს და ძმებ მიქაძეებს, როგორც ვთქვით, ჯანგველაძესთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, რომელიც სიგარეტისა და ალკოჰოლის რუსეთში ექსპორტს შეეხებოდა. ძმები მიქაძეები ვერ ბედავდნენ ფიზიკურ ზემოქმედებას, რადგან ლევანის ძმა „კანონიერი ქურდია". შემდეგ მკვლელობის ინიციატორად დასახელდა ე.წ. კანონიერი ქურდის დედ ჰასანის შვილიშვილი.**

**ოპერატიული ინფორმაციით, დედ ჰასანის შვილიშვილმა ოთარ ფარცხალაძეს, ძმებ მიქაძეებს 5 მილიონი დოლარის სანაცვლოდ ჯანგველაძის მკვლელობა შეუკვეთა, რის შემდეგადაც შეირჩა გელა უძილაური, რომელიც კვალის არევის მიზნით საბერძნეთში გაუშვეს, რომ ვითომ კვალი იქაურ ე.წ. კანონიერ ქურდებზე გასულიყო. საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი ჯოხაძე „თბილისი თაუერთან" შეხვდა უძილაურს. ამის შემდეგ ლევან ჯანგველაძე მოკლა. უძილაურს ჰპირდებოდნენ, რომ ის ციხეში დიდხანს არ იჯდებოდა",** – განაცხადა **რობიკო გოგიაშვილმა.**

ასევე, სასამართლო პროცესზე სასტუმრო „ამბასადორის" დაცვის უფროსიც დაიკითხა.

მისი თქმით, იმ დროს, როდესაც ლევან ჯანგველაძე სასტუმროში იმყოფებოდა, სასტუმროს კუთვნილი ავტომობილი საეჭვოდ დაზიანდა და კამერებში ასახულმა ერთმა პირმა, რომლის ჩაცმულობის გამო, მისი სახის დანახვა შეუძლებელი იყო, ეჭვები გაუჩინა.

**„დამირეკა დაცვის თანამშრომელმა და მითხრა, რომ სასტუმროს კუთვნილ მანქანას საქარე მინა ჰქონდა დაზიანებული. ეს ძალიან უცნაური იყო, ამიტომ მოვითხოვეთ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება, მეც დავინტერესდი და ვიდეო-კამერების ჩანაწერების დათვალიერება დავიწყე. კამერებში ჩანს, რომ მანქანის დაზიანებიდან რამდენიმე წუთში ვიღაც პიროვნება ტიციან ტაბიძის სკვერიდან გამოდის. თუ მანქანა გასროლით დაზიანდა, ეს სწორედ აქედან უნდა ყოფილიყო. იმ პიროვნებას სახეზე ქურთუკი აქვს აფარებული და ქუდი ახურავს, ასევე ამ დროს სასტუმროში სწორედ ლევან ჯანგველაძე იმყოფებოდა",** – განაცხადა სასტუმრო „ამბასადორის" დაცვის უფროსმა...

**პრაიმტაიმი**



გიორგი მიქაძე



დავით მიქაძე

## სანთელი



**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი სამძიმარს გამოთქვამს კავშირის წევრის**

**მერი ნუცუბიძის**

**გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.**

# გასროლა სასტუმროში

შინაგან საქმეთა სამინისტრო თბილისში მდებარე სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" სავარაუდო გასროლის ფაქტზე ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს.



**უწყების ცნობით, „შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ თბილისში მდებარე ერთ-ერთი სასტუმროს ნომრიდან სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმა გაისმა. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა შეტყობინების მიღებისთანავე, მყისიერი რეაგირება მოახდინეს და შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდნენ შესაბამისი დანაყოფები, მათ შორის საპატრულო პოლიციის, კრიმინალური პოლიციისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები.**

**ადგილზე მისვლისას დადგინდა, რომ აღნიშნული სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში ჩაკეტილი იყო ერთი პირი, რომელიც სასტუმროს პერსონალს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. სამართალდამცველების მიერ აღნიშნული პირი დაკავებულია შემთხვევის ადგილზევე.**

# კასპში კაცმა ცოლის დაწვა სცადა

კასპში, ე.წ. მირიანის ბინებში, კაცმა ცოლის დაწვა სცადა. არსებული ინფორმაციით კაცი ადგილიდან მიიმალა.

ადგილობრივების თქმით, თავდაპირველად ქალს დახმარება მეზობლებმა გაუწიეს. ადგილზე სასწრაფო დახმარებისა და პოლიციის ჯგუფები იყო მობილიზებული.

# ბათუმში თაღლითები დააკავეს

საქართველოს პროკურატურამ ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ოთხ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ბათუმში საცხოვრებელი სახლები იქირავეს და უძრავი ქონების გირავნობით დაინტერესებულ პირებს არწმუნებდნენ, თითქოს სესხის სანაცვლოდ აღნიშნული ბინების გირავნობით დატვირთვის და მათთვის დროებით სარგებლობაში გადაცემის უფლება გააჩნდათ, რის შედეგადაც 16 დაზარალებულისგან თაღლითურად 461 306 ლარი მიისაკუთრეს. **დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

# თაღლითების „ჯარი" ქუთაისი-ალპანას გზაზე!

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დიდი ოდენობით თაღლითობის და თაღლითობაში დახმარების საქმეზე ხუთი პირი დააკავა

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ საქართველოს პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ერთობლივი ღონისძიებების ფარგლებში, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სახელმწიფოს კუთვნილი 4 184 249 ლარის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, დაკავებულია შპს „B.P. TRANS" – ის დირექტორი ვ.კ. ამავე კომპანიის თანამშრომელი ი.ჭ. და საზედამხედველო კომპანიის სამი თანამშრომელი, ხოლო შპს „B.P. TRANS"-ის ყოფილ დირექტორს და 100%-იანი წილის მფლობელს, ამჟამად მიმალვაში მყოფ გ.პ.-ს დაუსწრებლად წარედგინება ბრალდება და მის მიმართ გამოცხადდება ძებნა,** – ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

საქმე ეხება დიდი ოდენობით თაღლითობას და თაღლითობაში დახმარებას.

კერძოდ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტს.

**ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2021 წლის ივნისიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით, ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების პროცესში, ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილის საავტომობილო გზის მონაკვეთის და ონის მუნიციპალიტეტის არეალში სტიქიის შედეგად დაზიანებული, ცალკეული მონაკვეთების ნაპირდამცავი ქვაყრილის ლოდებით მოწყობის სამუშაოების განხორციელებისას, შპს „B.P. TRANS"-ის 100%-**



**ანი წილის მფლობელი გ.პ, ამავე კომპანიის დირექტორ ვ.კ-ს, კომპანიის თანამშრომელ ი.ჭ-ს და ხელშეკრულების შესრულების ზედამხედველი პირების გ.კ-ს, რ.ფ-ს და ი.გ-ს დახმარებით, მოტყუებით დაეუფლა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კუთვნილ 4 184 249 ლარს, რითაც სახელმწიფოს მიადგა დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი.**

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

**გარდა ამისა, აღნიშნული საქმის ფარგლებში მიმდინარეობს ინტენსიურ ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებებს დანაშაულში თანამონაწილე სხვა შესაძლო პირთა მხილების და შესაბამისი სამართლებრივი კვალიფიკაციის განსაზღვრა/დაზუსტების მიზნით.**

**როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში განაცხადეს, თვითმიზანი არ არის ადამიანების დაკავება, ჩვენი მიზანია მოვახდინოთ კორუფციული ფაქტების გარანტირებული პრევენცია. შესაბამისად, აქვე შეგვიძლია მივმართოთ ყველა იმ ადამიანს, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული კორუფციულ გარიგებებში – გამოძიებასთან თანამშრომლობა კანონის ფარგლებში მოქცეული სერიოზული შეღავათი იქნება თითოეული მათგანისთვის.**

# 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეა!



## „მე ვინახავ ჩემი სახლის გასაღებს“!

**27 სექტემბერს თბილისში, მთაწმინდა-კუს ტბის საფეხმავლო ბილიკზე, საკენი-ჭუბერის გზისა და სოხუმის დაცემიდან 32 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმბოლური ლაშქრობა გაიმართება!..**

სიმბოლური ლაშქრობა წელს მეორედ ტარდება, რომელსაც ორგანიზებას უწევს საინიციატივო ჯგუფი „მე ვინახავ ჩემი სახლის გასაღებს“.

**„32 წლის წინ, უამრავმა ადამიანმა თავის გადასარჩენად საკენი-ჭუბერის უღელტეხილი ფეხით გადმოიარა და ასე დატოვა აფხაზეთი, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში, ყინვასა და სიცივეში, საკვებისა და მიზერული პირობების გარეშე მოუწიათ ყოფნა. ამ გზაზე უამრავი ადამიანი დაიღუპა, ხოლო გადარჩენილებმა მიიღეს დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა.**

**27 სექტემბერს „მეხსიერების ბილიკის“ მოწყობის მიზანია საკენი-ჭუბერის გზის გადააზრება და ამ გზით ისტორიული მეხსიერების შენარჩუნება. აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისა და მათი მეგობრებისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებით, ლაშქრობა ტვერელის ეკლესიის მოპირდაპირედ მდებარე პარკიდან დაიწყება (საიდანაც იღებს სათავეს სალაშქრო ბილიკი) და კუს ტბაზე დასრულდება, სადაც გაიმართება ფინალური ღონისძიება ეთნიკურად აფხაზი თუ არააფხაზი სპიკერების მონაწილეობით. ასევე, გაიმართება ინსპირაციული სემინარი – „სახლი“.**

**შეკრების ადგილი: 13:00 საათი, ტვერელის ეკლესიის მოპირდაპირედ მდებარე პარკი.**

**ფინალური ღონისძიება: 17:00 საათი, კუს ტბა, „ცისკრის ტერასის“ მიმდებარე ტერიტორია“,** – აცხადებენ ორგანიზატორები.

## აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის ათენში საერთაშორისო ბანაკი მოეწყო

**საბერძნეთის დედაქალაქში ორი კვირის განმავლობაში ისინი მრავალფეროვან კულტურულ-შემეცნებით და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ.**

მოეწყო ექსკურსიები ათენის ისტორიულ ადგილებში. ბანაკის დახურვის ღონისძიებაზე აფხაზეთის მთავრობის წევრები იმყოფებოდნენ, რომლებმაც მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს. ბანაკი, აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს, აფხაზეთის მომსახურების სააგენტოს და ათენის მერიის მხარდაჭერით იყო გახსნილი.




## დუბაიში ყველაზე ძვირადღირებული ფინჯანი ყავა გაყიდეს




**დუბაიში, ყავახანაში Roasters Specialty Coffee House მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფინჯანი ყავა გაყიდეს. ინფორმაციას გინესის რეკორდების წიგნი ავრცელებს.**

ყავის ღირებულება 2500 დირჰამი იყო (1838 ლარი). მის მოსამზადებლად გამოყენებული იყო არაბიკის სახეობის იშვიათი და ექსკლუზიური მარცვლები, რომლებიც პანამაში იყო მოყვანილი. მყიდველის სახელი არ გასაჯაროებულა.

## ანსამბლმა „მართვემ“ გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

**ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ხალხური სიმღერის ანსამბლმა გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.**

„მართვე“ მსმენელის წინაში რამდენიმე მუსიკალური ნომრით წარდგა. ფესტივალს გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი მასპინძლობს, რომელიც 23 სექტემბერს გაიხსნა და 26 სექტემბერს დასრულდება.

ორგანიზატორები გორის მერია და ერისთავის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრია.



## სოფია გაგლუანის ფილმმა RELIGION TODAY-ზე მთავარი ჯილდო მიიღო

**სოფია გაგლუანის ფილმმა „ფოფოდიას შვილები“ კინოფესტივალზე RELIGION TODAY („რელიგია დღეს“) ყველაზე წარმომადგენლობითი ჯილდო მიიღო, კატეგორიაში „რწმენის სული“.**

როგორც ფესტივალის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, 67-წუთიანი სურათი „ფესტივალის ჭეშმარიტ სულისკვეთებას გულწრფელად ასახავს“.

ფილმი საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე მცხოვრები ქრისტიანი და მუსლიმი მოზარდების შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც თავგადასავლების დროს ერთმანეთს ეხმარებიან.



## „ენგურის ორი ნაპირი“

**გუშინ მწერალთა სახლში ვაჩე რაინდელის გამოფენა და წიგნის პრეზენტაცია – „ენგურის ორი ნაპირი“ გაიმართა.**

მწერალთა სახლის ინფორმაციით, წიგნი ეფუძნება აფხაზეთში ავტორის ფარულად განხორციელებულ მოგზაურობას. ვაჩე რაინდელმა ფოტოაპარატით, რომელიც ამ მოგზაურობაში თან ჰქონდა, საზოგადოებას დღევანდელი აფხაზეთის ცოცხალი სურათი გადმოსცა.

მისი კამერის ობიექტივში ჩანს გადამწვარი სოფლები და ქალაქები, სახეცვლილი ეკლესია-მონასტრები, რომლებიც კვლავ სიცოცხლის დაბრუნებას ელიან:

**„დამწვარი სახლები, გადამწვარი კარ-მიდამოები, გადაბუგული სოფლები და ქალაქები, შერყვნილი და სახეცვლილი ეკლესია-მონასტრები მშველელს ელოდებიან. პატრონს ელოდება უმშვენიერესი მსხმოიარე ხეც, რომელიც დამწვარი, გადაბუგული სახლის ეზოში ეულად დგას... მართლაც, რა გადაგვარჩენს, ან ვინ გადაგვარჩენს?“,** – კითხულობს ავტორი.

ვაჩე რაინდელი ოცნებობს, რომ კამანის იოანე ოქროპირის სახელობის ტაძრის წინამძღვრის და სტიქაროსნის, მოწამებრივად აღსრულებული ქართული ეკლესიის წმინდანების – ქართველი მამა ანდრია ყურაშვილისა და აფხაზი იური ანუას – ბრილიანტებივით ბრწყინვალე სულებმა ერთ დღესაც გააღვიძონ და შეარიგონ ორი მოძმე ხალხის შვილები.




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაზელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
**ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:**
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 29 სექტემბერს**